ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

მერაბ კობიაშვილის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურა დაიწყო

გვ.5

გვ.5

„ნეკა დოროყაშვილმა ნიკა ბასილაშვილის სახლიდან ბავშვი ძალით წაიყვანა“

ირმა ჭკადუას განმარტება

სამშაბათი, 26 მაისი, 2020 №114 (8378) ფასი: 60 თეთრი

„გახარია გახუნდა, კალაძეს საარჩევნოდ პრობლემებს შეუქმნიან“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ უფასოდ კარგი სიტყვის თქმაც კი აღარავის უნდა“

გოჩა ბარნოვი: „ოცნება“ საპატრიარქოს გაურიგდა“

გვ.2

„შორენა თეთრუაშვილი ნებისმიერ ხელისუფლებას ყურებით ათრევს“

„გამოვათრევთ ამ მოღალატე ხელისუფლებას და ნაგვის urnebში ჩავყრით!“

გვ.3

ნიკოლოზ მჟავანაძე ზაურ დარგალის წინააღმდეგ

ბიძინა გუჯაბიძე: „ოპოზიცია საარჩევნოდ ერთმანეთის გასვრას დაიწყებს“

„თუ პარტიას ამომრჩეველთან შეხვედრები უნდა, ამას ჯანდაცვის რეკომენდაციების შესაბამისად მოახერხებს“

გვ.3

ვინ არის „ელბრუსი“, რომლის კვალი ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაში იკვეთება

გვ.4

რა შედეგები მოიტანა The Insider-ის, Belingcat-ის და Der Spiegel-ის ჟურნალისტურმა გამოძიებამ

ლაშა ჩხარტიშვილი დააკავეს და მერე გამოუშვეს გვ.2

გვ.2

თენგიზ ფხალაძე: „ელჩის უკრაინაში არდაბრუნება იქნება ძალიან არასწორი და წინდაუხედავი ნაბიჯი“

ISSN 1987-9385

2 კალაძე: „თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ივნისის დასაწყისში აღდგება“

5 პროკურატურამ „ევროპული საქართველოს“ წევრებს ძალადობის ფაქტზე ბრალი წარუდგინა

5 ქუთაისში შვილმა მამა მოკლა
დააკავეს 30 წლის დ.კ.

6 რუსეთში უკვე რეპრესირებულთა საფლავების მოვლისთვისაც სჯიან

გოჩა ბარნოვი: „ოცნება“ საპატრიარქოს გაურიგდა“

„შორენა თეთრუაშვილი ნებისმიერ ხელისუფლებას ყურებით ათრევს“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს პარლამენტმა პარასკევს ტყის კოდექსში ცვლილებები შეიტანა, რომლის თანახმადაც, ეკლესია-მონასტრებს მის ირგვლივ არსებული ტყეების დაკანონების შესაძლებლობა ექნებათ.

არის თუ არა ეს გარიგება და რა სარგებელს მოუტანს სასულიერო პირებს აღნიშნული გადაწყვეტილება? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თეოლოგი **გოჩა ბარნოვი** საუბრობს.

– რამდენიმე დღის წინ პარლამენტში მიიღეს ცვლილებები, რომლითაც ეკლესია-მონასტრებს ტყეების დაკანონების უფლება ეძლევათ. ხომ არ გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ეს არის წინასაარჩევნოდ გარიგება „ოცნებასა“ და საპატრიარქოს შორის?

– რა თქმა უნდა. ტყეების ჩუქების ერთადერთი ლოგიკური ახსნა სწორედ საარჩევნო კამპანიაა. ხელისუფლებამ უკვე დაიწყო საარჩევნო კამპანია იმ ქმედებებით, რასაც ის აკეთებს. ეს სწორი არ არის და ეს კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ საქართველო სეკულარული სახელმწიფო არ არის. რეალურად საქართველო თეოკრატიული სახელმწიფოა, როდესაც საქართველოს საპატრიარქო ეთამაშება ყველა ხელისუფლებას და ცდილობს, რომ პოლიტიკური გავლენები მოიპოვოს ქვეყანაში, რათა მისი ჩარევისა და გავლენის გარეშე არც ერთი საკითხი არ გადაწყდეს.

– მეუფეები გვეუბნებიან, რომ რა მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფოს საკუთრებაში იქნება თუ ეკლესიის, რაში უნდა გამოვიყენოთ ტყე, პირიქით, მეტი პასუხისმგებლობა გვეკისრებაო...

– მაგას ტყუილად ამბობენ. ზოგიერთი მეუფე გამოდის და იძახის, ჩვენ უკეთესად დავიცავთო, მაგრამ ამ კანონში არის გაწერილი, რა უფლება ექნება კონკრეტულ ეკლესია-მონასტერს?!

ულუმბოს მონასტერი სურამთან ახლოსაა, გომიდან რომ გადაუხვევთ, 2-3 კილომეტრშია ეს მონასტერი. იქ რომ ნახოთ, ხეებიც მეჩხერად არის, ეს იმიტომ, რომ ამ მონასტრის წინამძღვარი ხეებს ყიდდა და აკეთებდა დიდ ფულს, გლეხებს კი ტყიდან ფიჩხის გამოტანის შესაძლებლობასაც კი არ აძლევდა. ეს არის ერთი მაგალითი. რა გარანტია გვაქვს, რომ სხვა მონასტრების წინამძღვრებიც იგივეს არ გააკეთებენ და არ გაანადგურებენ ამ ტყეს, მაშინ, როდესაც ამის მომკითხავი არავინ არ არის.

ეკლესიის ფუნქცია არ არის ტყის, ღელეების თუ მინდვრის მოვლა-პატრონობა. ეკლესიის ფუნქცია არის სულის ცხონება, დაეხმაროს ადამიანს სულიერ ცხოვრებაში.

ეს არის ის, რომ ხელისუფლებამ წინასწარ მოისყიდოს ეკლესია, რათა მან მხარი დაუჭიროს „ქართულ ოცნებას“ არჩევნებზე, მეტი დანიშნულება ამ კანონს აბსოლუტურად არაფერი არ აქვს.

– მეუფე ანტონის განცხადებები საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. მან საპატრიარქოს ბიუჯეტზე საუბრისას გვითხრა, რას გვამადლით, თითო მოქალაქეს თვეში 59 თეთრის გადახდა უწევს ეკლესიისთვისო. ეს რას ნიშნავს?

– სამწუხაროდ ზოგიერთი ჟურნალისტი საკმაოდ სუსტია იმ თვალსაზრისით, რომ როდესაც მეუფე ამგვარ რამეს ამბობს, საპასუხო კითხვა უნდა დაუსვას, რომ რატომ გვავალდებულებს, რომ თუნდაც 59 თეთრი ვუხადოთ ყოველთვიურად?! როდესაც 25 მილიონიან ბიუჯეტზეა საუბარი, საუბრობენ იმგვარად, თითქოს, რაც მათ ზარალი მიიღეს საბჭოთა კავშირის დროს, იმის ანაზღაურება ხდება, მაგრამ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება ბოლშევიკური მთავრობის სამართალმემკვიდრეა?! თუკი რამე ზარალი მიიღო საქართველოს საპატრიარქომ ბოლშევიკური ხელისუფლების დროს, ეს მოჰკითხონ მას. მაგრამ ბოლშევიკური ხელისუფლების დროს ისინი გაჩუმებულები იყვნენ და მასთან თანამშრომლობდნენ. აბა მათთვის გაებედათ და ეთქვათ, რომ ის ზარალი, რაც მოგვაყენეთ, დაგვიბრუნეთ უკანო! როდესაც ხელსაყრელი მომენტი ნახეს, მაშინ დაიწყეს სპეკულირება. სახელმწიფოს არაფერი არ მართებს ეკლესიის მიმართ, ამიტომ, არ არის ვალდებული, უხადოს მას.

მეორე და მთავარი საკითხია ის, რომ ეს ფული ეკლესიაში მიდის ჩვენი ჯიბეებიდან. რატომ უნდა უხადოს მართლმადიდებელ ეკლესიას ფული მუსლიმი აღმსარებლობის წარმომადგენელმა, თუნდაც 59 თეთრი თვეში.

– მისთვის პრინციპული საკითხია?

– რა თქმა უნდა. მე თუ მინდა, გადავუხდი მას და ეს უნდა იყოს ნებაყოფლობითი და არა ისე, რომ შენს ჯიბეში აფათურებს ხელს ხელისუფალი და ფულს აძლევდეს ეკლესიას. ეს არის წინა ხელისუფლების ბრალი. მათ გაზარდეს ბიუჯეტი და კიდევ უფრო მეტს აძლევდნენ ქეშის სახით, ვიდრე ეს 25 მილიონი იყო.

– რა გაქვთ მხედველობაში?

– ნაღდი ფულის სახით მიჰქონდათ მათთვის და ეს არის ძალიან ცნობილი ამბავი.

– სასულიერო პირების მოსყიდვა ხდებოდა?

– რა თქმა უნდა. ამის დადასტურება ძალიან ძნელია, მაგრამ ვიცით, რომ მიჰქონდათ ქეშად და ჩუქნიდნენ. რა თქმა უნდა, ამის უარყოფას დაიწყებენ, მაგრამ ვიცოდით, რომ სხვა თანხები ტრიალებდა.

– მეუფე ანტონმა თქვა, ოპოზიცია, მედია და არასამთავრობოები უტევენ ეკლესიასო. მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ჩვენი ევროპული არჩევანი და თქვა, სინოდის სხდომაზე გავიტან, რომ რეფერენდუმის ჩატარებაზე ვიმსჯელოთო. რა ეკითხება სინოდს ამ საკითხის გადაწყვეტაში?

– რუსეთმა გადაუხადა ფული ანტონს. საპატრიარქოში არიან პირები, რომლის „კრიშაც“ არის რუსეთი. ასეთი არის ნიკოლოზ ფაჩუაშვილი, მეუფე სპირიდონი და ა. შ. რომლებიც აკეთებენ პრორუსულ განცხადებებს. ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, ანტონი სხვანაირად ლაპარაკობდა და თავის თავს პროევროპელად წარმოაჩენდა. რა შეიცვალა ამ ერთ წელში? თუ ვინმე ეკლესიას ჩრდილს აყენებს, თავად მღვდელმთავრები აყენებენ თავიანთი რუსეთუმეობით. თუკი ეკლესიაში დღეს მრევლი შეთხელდა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მღვდელმთავრებისა და საპატრიარქოს ბრალია. ამაში რუსეთის ხელი ურევია.

ჟურნალისტებისგან ერთი რამე მაინტერესებს, როდესაც უტევთ იაკობს, როდესაც უტევთ დანიელს, სპირიდონს, ნიკოლოზს და ა. შ., რატომ ტოვებთ მთავარ სამიზნეს გვერდზე?

– ვინ არის მთავარი სამიზნე?

– ეს არის შიო მუჯირი. საერთოდ ცოცხალი პატრიარქის პირობებში მოსაყდრის ინსტიტუტი არ არსებობს. მოსაყდრე აქტიურდება მაშინ, როდესაც გარდაიცვლება პატრიარქი და მას ირჩევს სინოდი. პატრიარქს არ აქვს უფლება, თავის სიცოცხლეში დანიშნოს მოსაყდრე, ეს არის მსოფლიო კანონიკით განსაზღვრული. მთავარი მტერი არის შიო მუჯირი, რომელიც მოკალათებულია საპატრიარქოში. ვლაპარაკობთ ანტონზე, იობზე, იაკობზე და ა. შ., მაგრამ არ ვლაპარაკობთ შიოზე, რომელიც ნელ-ნელა მიილტვის პატრიარქის ტახტისკენ.

– მეუფე შიო ხმაურიანი განცხადებებით არ გამოირჩევა.

– სპეციალურად არის თავად ჩუმად, რომ არ ჩანდეს. მაგრამ ნელ-ნელა მიიწევს საპატრიარქოს ტახტისკენ.

ნურც ერთ პოლიტიკურ პარტიას ექნება ილუზია, რომ ისინი სახელმწიფო პოლიტიკას განავითარებენ ქვეყანაში წარმატებით, თუკი ამ მეხუთე კოლონას არ დაამარცხებენ. ბევრი ოპოზიციური პარტიისგან მომისმენია, რომ როდესაც ხელისუფლებაში მოვალთ, ჩვენს მხარეზე გადმოვლენო. ნურას უკაცრავად, რომელი ხელისუფლებაც არ უნდა მოვიდეს, შორენა თეთრუაშვილი და ის ხალხი, ვინც საპატრიარქოს განაგებენ, ყურით ათრევენ ნებისმიერ ხელისუფლებას. მათ აქვთ რეიტინგი, ჰყავთ ხალხი, რომლებიც მათ მხარს უჭერენ. რეალურად პრობლემა არის ხალხი, რომლებიც ამ მღვდელმთავრებს უჯერებენ და უსმენენ. ეს არის მთავარი პრობლემა. ამ მღვდელმთავრებს საბერძნეთში ერთ დღესაც არ გააჩერებდნენ, მაშინვე გამოყრიდნენ, იმიტომ, რომ იქ სხვა დონეა.

თენგიზ ფხალაძე: „ელჩის უკრაინაში არდაბრუნება იქნება ძალიან არასწორი და წინდაუხედავი ნაბიჯი“

– ელჩის უკრაინაში არდაბრუნება იქნება ძალიან არასწორი და წინდაუხედავი ნაბიჯი.

ასე შეაფასა საერთაშორისო საკითხებში ექსპერტმა თენგიზ ფხალაძემ საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომლის მიხედვითაც საქართველოს ელჩის უკრაინაში დაბრუნების თარიღი უკრაინის გაცხადებულ პოზიციაზეა დამოკიდებული.

მისივე თქმით, ძალიან არასწორია ის მიმართულება, რომლითაც საქართველო მიდის.

– ეს ურთიერთობები იმდენად მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის გრძელვადიანი სასიცოცხლო ინტერესებისთვის, რომ ცოტა მეტი დაფიქრება სჭირდებათ და არ მგონია, რომ ასეთი საჯარო დემარშებით წყდებოდეს პრობლემა მეგობარ სახელმწიფოსთან.

დიპლომატია ყოველთვის არ მოითხოვს ხმამაღალ განცხადებებს და არსებობს სხვა რაღაცები, რომლის გამოყენებაც უფრო აქტიურად უნდა მოხდეს. სტრატეგიული პარტნიორები და მეგობრები იმიტომაც არიან მეგობრები, რომ მათ შორის ნებისმიერი გაუგებრობა, რთული საკითხი და ა.შ., სხვა ფორმით შეიძლება იქნას განხილული და გადაწყვეტილი. არ მგონია, რომ ეს არის საუკეთესო და სწორი ფორმა ამ ურთიერთობებში, – განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

მისივე თქმით, საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობებში ვინ გადადგა პირველი ნაბიჯი და პირველმა ვინ დააშავა, ამაზე საუბარი უკვე სერიოზული შეცდომაა.

– ურთიერთობების გაფუჭება ძალიან ადვილია, ამის აშენება და შექმნა არის ძალიან რთული. ელჩის უკრაინაში არდაბრუნება იქნება ძალიან არასწორი და ძალიან წინდაუხედავი ნაბიჯი. ემოცია არ არის კარგი მეგობარი. ასეთი გადაწყვეტილება არ შეიძლება მიიღონ ემოციის ფონზე. არ არის ეს ფორმა საუკეთესო ფორმა ურთიერთობისთვის.

არ ვაპირებ ტყუილ-მართლის გარჩევას. ჩვენ თუ ამ სიბრტყეში გადავიყვანთ ურთიერთობებს, ეს უკვე ნიშნავს, რომ შეცდომა არის დაშვებული.

საქართველოსა და უკრაინის ურთიერთობები ისეთნაირად ვითარდებოდა და მიმდინარეობდა, რომ ასეთ სიბრტყეში არ უნდა გადავიდეს. ძალიან ბევრი რამაა ჩვენსა და უკრაინის სასიცოცხლო ინტერესებში დამთხვევა და ჩვენი მოწინააღმდეგეები, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ, რომ სწორედ ამ ურთიერთობაში შეიტანონ ბზარი და ის ერთიანი პოზიცია, რომელიც გააძლიერებს საქართველოსაც და უკრაინასაც, ამ პოზიციების გაერთიანება არ მოხდეს, მათ შორის იყოს დაპირისპირება. თუ ამ მიმართულებით წავალთ, ეს იმას ნიშნავს, რომ სწორად ვყვებით სხვას იმ თამაშში, რომელიც ჩვენს საწინააღმდეგოდ არის დაგეგმილი, – განაცხადა თენგიზ ფხალაძემ.

გუშინ, 25 მაისს, საგარეო უწყებამ უკრაინიდან კონსულტაციებისთვის გამოწვეულ ელჩთან, თეიმურაზ შარაშენიძესთან პირველი შეხვედრა გამართა.

– დავაკვირდებით უკრაინაში პროცესების განვითარებას, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს უკრაინის ხელისუფლება საქართველოსთან მიმართებაში ურთიერთობის ნორმალიზების კუთხით და სწორედ ამის მიხედვით იქნება მიღებული გადაწყვეტილება ელჩის უკრაინაში დაბრუნების თარიღთან დაკავშირებით, – განუცხადეს ინტერპრესნიუსს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

კალაძე: „თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ივნისის დასაწყისში აღდგება“

– დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სავარაუდოდ, ივნისის დასაწყისში აღდგება.

ამის შესახებ განცხადება თბილისის მერმა კახა კალაძემ გააკეთა.

მერის თქმითვე, ტრანსპორტის ამუშავებისთვის მერიაში სრული მზადყოფნაა, თუმცა ეპიდემიოლოგებისა და საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციებს ელოდებიან.

– სავარაუდოდ, ივნისის დასაწყისში მოხდება საზოგადოებრივი ტრანსპორტის აღდგენა. ჩვენ დაახლოებით 700-მდე ავტობუსი გვყავს, აქედან 500 ნორმალური ცხოვრების პირობებში ემსახურება ქალაქის მოსახლეობას. ამ შემთხვევაში დაემატება ის სათადარიგო ავტობუსები, თუ ამის საჭიროება იქება და მოემსახურება ქალაქის მოსახლეობას.

ზუსტად იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ იყო გაჩერებული და არ მიიღეს ის ზომები, რომლებიც ჩვენმა ხელისუფლებამ მიიღო, შედეგებიც ვნახეთ, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდა ეს ქვეყნები. საქართველოს მოდელი არის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო. მხედველობაში მაქვს ის გადაწყვეტილებები, ის ნაბიჯები, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა. ზუსტად ამის გამო, ჩვენ ავირიდეთ ყველაზე დიდი საფრთხე – ადამიანების სიკვდილიანობა, რაც, სამწუხაროდ, განვითარებულ, ევროპულ ქვეყნებში იყო ძალიან მძიმე შედეგი ამ მიმართულებით, – განაცხადა კახა კალაძემ.

მეტი დეტალი ან თარიღი კახა კალაძემ ამ ეტაპზე არ დააზუსტა, თუმცა მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენასთან დაკავშირებით სავარაუდო დროდ მაისის ბოლო ან ივნისის დასაწყისი უკვე რამდენჯერმე დასახელდა.

ლაშა ჩხარტიშვილი დააკავეს და მერე გამოუშვეს

გუშინ, 25 მაისს, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი დააკავეს.

ჩხარტიშვილი „ალუბლების ქუჩაზე“ აქციას მართავდა, როდესაც ის პოლიციამ დააკავა.

შსს-ში აცხადებენ, რომ ლაშა ჩხარტიშვილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის დააკავეს, რაც პოლიციის მიმართ წინააღმდეგობას გულისხმობს.

გუშინვე უნდა გამართულიყო ლაშა ჩხარტიშვილის სასამართლო პროცესი, მაგრამ ის გადაიდო.

ლაშა ჩხარტიშვილი სასამართლო დაწესებულებიდან გაათავისუფლეს.

პროცესი 10 ივნისს ჩაინიშნა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია გახუნდა, კალაძეს საარჩევნოდ პრობლემებს შეუქმნიან“

დავით ჭიჭინაძე: „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ უფასოდ კარგი სიტყვის თქმაც კი აღარავის უნდა“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი, პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, პრემიერი გიორგი გახარია თანამდებობიდან მიდის, რაც შეიძლება წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი იყოს. თუმცა, ალბათ უფრო მნიშვნელოვანი მეორე ნაწილია, რომ ის ოპოზიციაში გადადის. უშვებთ ამ შესაძლებლობას?

– ვერანაირად! იმას კი ვუშვებ, რომ ახალი სახე, ახალი სისხლი ნამდვილად სჭირდებათ, მით უფრო წინასაარჩევნოდ, მაგრამ გახარია რომ ოპოზიციაში გადავიდეს, ეს წარმოუდგენელია. კაცი ფსევდოპრემიერად ვერ გამოდგა და ფსევდოოპოზიციონერად როგორ გამოდგება?!

პანდემიასთან დაკავშირებული პირველი წარმატებები, სანამ ხალხი შეშინებული იყო, სანამ დაბნეული იყო და არ ვიცოდით, რასთან გვქონდა საქმე, სრულიად ბუნებრივი იყო. შეკავების ფაზა ნამდვილად იყო წარმატებული, მაგრამ ამ ეტაპმა გაიარა და ახლა საჭიროა შემდეგ გამოწვევებს უპასუხოს მთავრობამ. კონკრეტულად პრემიერმა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არათუ გამოწვევებს გაართმევენ თავს, ქაღალდზე გაწერილი ეკონომიკური გეგმაც კი არ აქვთ. ამ ფონზე სულ არ არის გამორიცხული და გასაკვირი, რომ წინასაარჩევნოდ პრემიერი შეიცვალოს.

ეკონომიკა, ეს არ არის უბრალოდ ისე ნათქვამი, ადამიანები ამას საკუთარ ჯიბრზე გრძნობენ. ქვეყანაში ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომ ის შიმშილით არ მოკვდეს, შეიძლება ძალიან მალე დღის წესრიგში დადგეს. ეს ნებისმიერი ქვეყნისთვის კატასტროფაა.

გიორგი გახარია, როგორც საარჩევნო სახე, როგორც გარდამტეხი ფიგურა ნამდვილად ვეღარ გამოდგება. ის საერთოდ დაკარგული იყო, თითქოს გახუნებული იყო, მაგრამ ამ ეპიდემიამ ცოტა ფერები დაუბრუნა, მაგრამ ეს ფერები მას არჩევნებამდე ვერ გაყვება. ისევ უცებ გახუნდა. ყველა მისი წინამორბედი მასზე ბევრად უფრო გამოირჩეოდა. გამოირჩეოდა გარკვეული ინიციატივებით, გარკვეული დამოუკიდებლობის ხარისხით.

– კვირიკაშვილზე ამბობთ?

– რა თქმა უნდა! თუმცა, მერწმუნეთ, ღარიბაშვილიც კი უფრო დამოუკიდებელი იყო. სამწუხაროდ, გახარია აბსოლუტურად ფესვდოპრემიერია. პანდემიის დროს ყველა რომ სახლში ჩაიკეტა და კონკურენტი არავინ რომ არ ჰყავდა, გამოვიდა, ხალხს თავი გაახსენა, რომ ის არის პრემიერი, ექიმების წყალობით. თუმცა, ეს ყველაფერი თვალსა და ხელსშუა ქრება. ისე, რა მნიშვნელობა აქვს, გახარია იქნება თუ ვინ იქნება. მხოლოდ გვარები იცვლება.

– თქვენი ინფორმაციით, ვინ იქნება?

– სიმართლე გითხრათ, საერთოდ აზრს ვერ ვხედავ ამ ცვლილებაში, რადგან პრემიერი არ ატარებს არჩევნებს. არჩევნებს ისევ ივანიშვილი ჩაატარებს. გახარიამ და „ქართულმა ოცნებამ“ ქუდი უნდა დაიხურონ და ხელისუფლებიდან წასავლელად გაემზადონ. მთელი ეს პერიოდი ჩვენ ვუყურებდით, თუ როგორ ანადგურებდა „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ ცხოვრებას, ზოგადად პოლიტიკას, პოლიტიკის არსს. ერთადერთი, ვინც მეტ-ნაკლებად გადარჩა „ოცნებაში“ და არ აითქვიფა ამ ყველაფერში, გრიგოლ ლილუაშვილია.

– შეიძლება ის გახდეს პრემიერი?

– ვერ გეტყვით. თუმცა, უსაფრთხოების მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა ქვეყანაში. ასევე ჩვენ ვხედავთ, რომ კორუფციის მიმართულებითაც გარკვეული ნაბიჯები გადადგა. შეიძლება ბევრი რამ ნათელი არ გახდეს, მაგრამ მე მნიშვნელოვან ძვრებს ველოდები ამ მიმართულებით.

– არჩევნების წინ დაჭერებიც შეიძლება იყოს?

– აუცილებლად. ისე, რასაც ჩვენ ვხედავთ კორუფციის მიმართულებით, ეს აღვირახსნილობა უნდა შეჩერდეს. კატასტროფა ხდება ამ ქალაქში. ამ ქალაქში მცხოვრებლებს არაფერს არ ეკითხებიან, მხოლოდ ვიწრო ინტერესებით შემოიფარგლებიან. ეს საკმაოდ სერიოზული პრობლემა იქნება თუნდაც წინასაარჩევნოდ. კალაძეს ალბათ სერიოზულ პრობლემას შეუქმნიან ამ მიმართულებით.

– 2016 წლის სია თითქმის კალაძემ დააკომპლექტა. ამ საარჩევნო სიას ვინ დააკომპლექტებს?

– ეს იყო კვირიკაშვილის უფხოობა, როგორც იტყვიან და პოლიტიკური გამოუცდელობა. ფიქრობდა დაუფასებდნენ, მაგრამ მერე ძირი გამოუთხარეს.

– ვინ?

– ბევრმა, ერთ-ერთი კალაძე იყო.

– ახლა ვინ დაწერს სიას, ივანიშვილი?

– ივანიშვილს ხალხთან ურთიერთობა აკლია, ბევრს არ იცნობს, მას წარუდგენენ. არჩევანის საშუალებაც დიდი არ ექნება. ადამიანური რესურსი აღარ აქვთ. დღეს, „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ უფასოდ კარგი სიტყვის თქმაც კი აღარავის უნდა.

– ირაკლი კობახიძის გუნდი ახალ სიაში იქნება?

– მაგათ გადააყოლა ივანიშვილმა ყველა და მაშინ აზრს ვერ ვხედავ, ალბათ იქნებიან. თუ მათაც გაუშვებს, მაშინ ასეთი მიდგომის აზრი რა არის?! თუ ამათაც მოიშორებს, მაშინ ამ ტიპის მსახურებიც აღარ ეყოლება გვერდით.

„გამოვათრევთ ამ მოღალატე ხელისუფლებას და ნაგვის urnebši ჩავყრით!“

ნიკოლოზ მჟავანაძე ზაურ დარგალის წინააღმდეგ

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე პასუხობს.

– ბატონო ნიკოლოზ, ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებს ჩვენი ხელისუფლება მეგობრულს უწოდებს, თუმცა თქვენ აცხადებთ, რომ ეს მტრული და დამპყრობლური ურთიერთობებია, ითხოვთ, მარნეულის მერმა თანამდებობა დატოვოს. რატომ, რა ხდება?

– აზერბაიჯანის მხრიდან ჩვენი ტერიტოების მიტაცება დიდი ხანია, რაც დაიწყო. 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და 1920 წელს აზერბაიჯანი დაესხა საქართველოს თავს. დავით გარეჯის ოკუპაცია და აზერბაიჯანის აგრესია სულაც არ არის გასაკვირი. სამი საუკუნეა, აზერბაიჯანი არის საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყანა. წაგვართვეს ჰერეთის ტერიტორია. იყო სისხლისმღვრელი შეტაკებები, ქართველი ჯარისკაცები დაიხოცნენ. ამ ყველაფერს კი წინ უსწრებდა აზერბაიჯანის გასაბჭოება. იმ პერიოდში მიზანს ვერ მიაღწიეს, ზავი დაიდო აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის. მოგვიანებით კი მათი მიზანი არა ომით, არამედ მშვიდობიანად განხორციელდა.

ამ ომში ჩართული იყო ნარიმან ნარიმანოვი, აზერბაიჯანელი ბოლშევიკი, რომელიც დაიბადა საქართველოში, ძველ თბილსში. მოგვიანებით მარნეულში ასწავლიდა ბავშვებს და მერე ბაქოში გადაბარგდა და იქ გაიკეთა კარიერა. აზერბაიჯანის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი იყო. 1920 წლის მოვლენებში ის იყო

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ბიძინა გუჯაბიძე: „ოპოზიცია საარჩევნოდ ერთმანეთის გასვრას დაიწყებს“

„თუ პარტიას ამომრჩეველთან შეხვედრები უნდა, ამას ჯანდაცვის რეკომენდაციების შესაბამისად მოახერხებს“

მარიამ მჭედლიშვილი

რეალურია თუ არა სოციალური ბუნტი ქვეყანაში? როგორ მუშაობს ხელისუფლება სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის? რა არის მოსალოდნელი ოპოზიციურ ერთობაში? რა აბსურდულ ბრალდებებს უყენებენ „ქართულ ოცნებას“? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ბიძინა გუჯაბიძეს



– ხელისუფლება კორონავირუსისაგან მოსახლეობისათვის მიყენებული დიდი ზარალის შესამსუბუქებლად ზომებს იღებს. მიუხედავად ამისა, ხალხის უმრავლესობის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ამას ხელს უწყობს გაგრძელებული შეზღუდვები. შეზღუდვების გაგრძელების უფლება პარლამენტმა მთავრობას გადაულოცა. გამოითქმის პროგნოზები ზაფხულის ბოლოს ან შემოდგომაზე სოციალური ბუნტის შესახებ. თქვენი აზრი როგორია ამაზე?

– მოსახლეობაში არის გაჭირვება და უკმაყოფილება, თუმცა, სოციალური ბუნტისთვის საფუძველი და მუხტი არ არსებობს. ქვეყანაში არც ახლაა კრიტიკული სიტუაცია და არც მომავალ თვეებში იქნება. ხელისუფლება ზომებს იღებს, რომ ადამიანებს საარსებო მინიმუმი შეუქმნას.

– კომპენსაცია ყველას არ ეხება.

– კომპენსაციების გარდა, მოსახლეობას შეძლებისდაგვარად ხელს უწვდიან გამგეობები, მაჟორიტარები, ადგილობრივი ხელისუფლება. მათ შესანიშნავად იციან, ვინ არის გაჭირვებული მათ ტერიტორიაზე და ხალხს სურსათით ამარაგებენ, სხვა დახმარებასაც უწევენ. ამ პროცესი შეცდომა არავინ უნდა დაუშვას. ეს დამოკიდებულია იმ აქტივზე, რომელიც ხალხთან დადის. ხელისუფლებას მოსაგვარებელი აქვს ერთი საკითხი-მოქალქეებს უნდა მიეცეთ დეტალური განმარტებები იმაზე, ვის ეკუთვნის დახმარება და სად უნდა მივიდნენ ბენეფიციარები. ეს მანამდე უნდა მოხდეს, ვიდრე ამომრჩეველს რადიკალურად განწყობილი ოპოზიცია შეხვდება.

– მოსახლეობას დახმარებაზე საკმარისი ინფორმაცია არა აქვს?

– უმრავლესობა ინფორმირებულია, მაგრამ არიან არაინფორმირებულებიც. ხალხის საქმის კურსში ჩაყენება უმჯობესია პირადი კონტაქტებით. რა თქმა უნდა, ყველა ამითაც არ იქნება ყმაყოფილი. რაც უნდა განუმარტო და დაეხმარო, ოპოზიციისაგან ტვინარეული ზოგიერთი პირი მაინც უკმაყოფილო დარჩება. ასეთები საბაბს ეძებენ, რომ ხელისუფლება რამეში დაადანაშაულონ. კიდევ ერთი პრობლემაა იმ ადამიანებისთვის დახმარების გაწევა, რომლებიც მუშაობენ უტრანსპორტობის პირობებში. ადგილობრივი ხელისუფლებები უნდა დაინტერესდნენ ამ ადამიანებით(ასევე მათი კომპანიებით) და ამ ადამიანებსა და კომპანიებს ტრანსპორტით დაეხმარონ და სატრანსპორტო შეღავათები დაუწესონ.

– ამომრჩეველთან შეხვედრები ახსენეთ. პოლიტიკურ წრეებში გამოითქმის მოსაზრება, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, აკრძალვები პარტიებს არ აძლევს ამომრჩევლებთან შეხვედრების საშუალებას.

– ეს ასე არ არის. ამას იგონებს ის, ვისაც რაღაც მიზეზით ხალხთან შეხვედრები არ სურს. თუ პარტიას ამომრჩეველთან შეხვედრები უნდა, ამას ჯანდაცვის რეკომენდაციების შესაბამისად მოახერხებს. შეკრებების გამართვაც კი შესაძლებელია, თუ დისტანცია დაიცავი. ამაზე უფრო რთულია ტრანსპორტის ამუშავება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ნიშნავს ფიზიკურ სიახლოვეს. კარგად არის გასათვლელი, რამდენი ადამიანი უნდა იყოს ავტობუსსა და მეტროში. სამარშრუტო ტაქსების საკითხი კიდევ ცალკეა გადასაწყვეტი. იოლია ხელისუფლებას შეუძახო, გახსნას ტრანსპორტი. ძნელია პრობლემის საჩქაროდ გადაწყვეტა. ჩემი აზრით, ყველამ გულშემატკივრის პოზიციიდან უნდა შეეხედოთ რეალობას.

– ამ სიტუაციაში არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს. ოპოზიციური ერთობა აპირებს შეთანხმებას მაჟორიტარების კანდიდატურებზე.

– ოპოზიცია ამის გამო უკვე ვერ თანხმდება. ამ ე. წ. ერთობის წარმომადგენლები ერთმანეთს ჯერ რბილად ეკამათებიან. წინასაარჩევნოდ მძაფრად დაუპირისპირდებიან. უფრო მეტიც, საარჩევნოდ ოპოზიცია ერთმანეთის გასვრას დაიწყებს. ამ ფონზე არა მგონია, ხელისუფლება წამგებიან მდგომარეობაში იყოს.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

ვინ არის „ელბრუსი“, რომლის კვალი ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობაში იკვეთება

რა შედეგები მოიტანა The Insider-ის, Belingcat-ის და Der Spiegel-ის ჟურნალისტურმა გამოძიებამ

ცოტა ხნის წინ, უკრაინაში უსაფრთხოების სამსახურის გენერალ-მაიორი შაიტანოვი დააპატიმრეს. მას რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ადანაშაულებენ.

როგორც ირკვევა, მისი კურატორი რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის პოლკოვნიკი იგორ ეგოროვი იყო. ერთ-ერთი ოპერაცია, რომელსაც ეგოროვი და შაიტანოვი ერთობლივად გეგმავდნენ, ჩეჩენი მებრძოლის ადამ ოსმაევის ლიკვიდაცია იყო. გამოცემებმა The Insider, Belingcat და Der Spiegel შეძლეს იმის გარკვევა, რომ ცნობილი საძახისის „ელბრუსის“ უკან სწორედ პოლკოვნიკი ეგოროვი იდგა. ის იყო კრემლის ერთ-ერთი საკვანძო კურატორი 2014 წელს უკრაინაში შეჭრის დროს, კონკრეტულად კი, დონბასის რეგიონში. ასევე, იგივე პირი, „ბუკით“ ჩამოგდებული მალაიზიური „ბოინგის“ საქმის ერთ-ერთი ფიგურანტიც არის. ეგოროვი ფსბ-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანაყოფის, ვიმპელის, წევრია.

იკვეთება, რომ გასული წლის აგვისტოში, ზელიმხან ხანგოშვილზე თავდასხმის ორგანიზება ბერლინში სწორედ ამ დანაყოფმა მოახდინა.

რას წერენ ეს გამოცემები

2020 წლის 14 აპრილს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა, თავისივე უწყების მაღალჩინოსნის გენერალ-ლეიტენანტის ვალერი შაიტანოვის დაპატიმრების შესახებ განაცხადა.

შაიტანოვი დიდი ხნის განმავლობაში სპეციალური ოპერაციების ცენტრ „ა“-ს ხელმძღვანელობდა. უწყება ამტკიცებს, რომ ფსბ-ს პოლკოვნიკმა ეგოროვმა ის წლების წინ გადაიბირა. ამის დასადასტურებლად მათი საუბრის აუდიო ჩანაწერები გამოაქვეყნეს. ერთ-ერთი საუბრის მიხედვით, ეგოროვი და შაიტანოვი კიევში მცხოვრები ჩეჩენი მებრძოლის ადამ ოსმაევის ლიკვიდაციას გეგმავენ.

რუსეთის მოქალაქე ოსმაევი, რომელმაც უკრაინაში თავშესაფარი მიიღო, რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩეჩნურ ბატალიონს მეთაურობდა. რამდენიმე წლის წინ მასზე მომხდარი თავდასხმის დროს მისი მეუღლე, ამინა ოკუევა დაიღუპა. საუბრის დროს სახელდება კონკრეტული თანხაც – 200 ათასი დოლარი, რომელიც დაუსახელებელი ქილერისთვის უნდა ყოფილიყო გადახდილი. ასევე, მკვლელობის სანაცვლად მას რუსეთის ოფიცერის მოწმობასაც გადასცემდენ.

როგორც ჩანს, ჩანაწერი პირადი შეხვედრის დროს გაკეთდა და ის თავად ქილერმა გააკეთა, რომელიც, სავარაუდოდ, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ცნობით, ეგოროვის, ქილერის და შაიტანოვის შეხვედრები გერმანიაში, საფრანგეთსა და ხორვატიაში ხდებოდა.

სად ჩნდება „ელბრუსის“ კვალი

გამოცემებმა The Insider, Belingcat და Der Spiegel ეგოროვის ხელწერა სხვაგანაც აღმოაჩინეს. მათ მიერ ჩატარებული ჟურნალისტური გამოძიებით დგინდება, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დროს, ის სარგებლობდა საძახისით „ელბრუსი“.

ომის დასაწყისში ის იყო ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა, რომელიც დონბასში სამხედრო მოქმედებების კოორდინაციისთვის კრემლიდან მიავლინეს.

ეგოროვი 1962 წელს ლუგანსკის ოლქში დაიბადა. ფსბ-ს სპეცდანაყოფ „ვიმპელში“ პოლკოვნიკის წოდებამდე იმსახურა, რის მერეც ვეტერანების ორგანიზაცია „ვიმპელ-ბ“-ში სამუშაოდ გადავიდა, თუმცა სინამდვილეში მოქმედ თანამშრომლად დარჩა. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ 2019 წლამდე ეგოროვი სარგებლობდა პასპორტით იგორ სემიონოვის სახელზე.

2014 წელს ის ყირიმის ანექსიაში იღებდა მონაწილეობას, რისთვისაც მედალიც კი მიიღო. 2014 წლის დასაწყისში კრემლმა გადაწყვიტა, უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაეგზავნა გამოცდილი სამხედროები, რომლებიც დანაყოფების შიდა კონფლიქტებს ბოლოს მოუღებდნენ და ცენტრალიზებულ მოქმედებებს უზრუნველყოფდნენ. ამისთვის ორი შტაბი შეიქმნა, ერთი კრასნოდარში, მეორე კი – ლუგანსკში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვინმე „ელბრუსი“. მოსმენილი საუბრებიდან გასაგები ხდებოდა, რომ ვინმე „ელბრუსი“ მსახურობდა „ვიმპელ“-ში, იყო ოპერატიული მეთაური და ასევე ფიგურირებდა ნადეჟდა საავჩენკოს საზღვარზე გადაყვანის ოპერაციაში.

ამას გარდა, ერთობლივმა საგამოძიებო ჯგუფმა, რომელიც ჩამოგდებული „ბოინგის“ საქმეს იკვლევს, ასევე შეიყვანა „ელბრუსი“ საქმის ფიგურანტად, როგორც მოსკოვის მიერ დანიშნული რუსული სამხედრო მეთაური, რომელიც სამხედრო მოქმედებების ზონაში სწორედ იმ დროს ჩავიდა, როცა იქ „ბუკი“ იყო ჩატანილი. სწორედ ის იარაღი, რომლითაც მალაიზიური ბოინგი ჩამოაგდეს.

Insider-ის და Belingcat-ის მიერ გამოკვლეული ფრენები ცხადყოფს, რომ 2014-2015 წლებში ეგოროვი მუდმივად ჩადიოდა იმ ქალაქებში, რომლებშიც დონბასის ოპერაციების საკოორდინაციო ცენტრები მდებარეობდა.

ესენია: როსტოვი, კრასნოდარი, სიმფეროპოლი. უკრაინის სპეცსამსახურების მიერ მოსმენილ საუბრებში საძახისი „ელბრუსი“ მრავალჯერ არის ნახსენები, ჩანს, რომ ადგილზე მის ყოფნას თუ მოქმედებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ საუბრებით და თვითმხილველების ნაამბობით დასტურდება, რომ „ელბრუსი“ და ეგოროვი ერთი და იგივე ადამიანია.

„ელბრუსის“ სამიზნეები და მოგზაურობები

ჟურნალისტმა გამომძიებლებმა გამოიკვლიეს ეგოროვის გადაადგილებები 5 წლის განმავლობაში. აღმოაჩინეს, რომ ევროპაში ის თითქმის ყოველ თვე ჩადიოდა. უფრო ხშირად სტუმრობდა გერმანიას, ასევე ხშირი სტუმარი იყო ხორვატიაში, საფრანგეთსა და მონტენეგროში.

ერთ-ერთი მისი ჩასვლა მონტენეგროში ემთხვევა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ მოწყობილი წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების დღეებს. მაშინ მონტენეგროს სპეცმსახურებმა შეიარაღებული ჯგუფის მონაწილეები წარმატებით დააკავეს და პრემიერ-მინისტრის მკვლელობაც აღკვეთეს, თუმცა რუსი ორგანიზატორები ვერ დააპატიმრეს.

ასევე, ეგოროვი არაერთხელ იმყოფებოდა თელ-ავივში, იორდანიაში, სინგაპურში, იტალიასა და ბულგარეთში. იორდანიის დედაქალაქ ამანში ის მას მერე ჩავიდა, რაც იორდანიის მეფე აბდულა მეორედ მოსკოვს ეწვია, რუსეთ-იორდანიის სამხედრო კოოპერაციასა და სირიაზე სასაუბროდ. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ეგოროვის ინტერესის სფერო მხოლოდ უკრაინა არ ყოფილა. საინტერესოა, რომ ის ჩეჩნეთშიც ჩადიოდა ხოლმე და შესაძლოა, სწორედ მაშინ ხდებოდა კრემლისთვის არასასურველი ეთნიკურად ჩეჩენი მებრძოლების ლიკვიდაციის დეტალების შეთანხმება.

დამთხვევაა თუ უფრო მეტი, ეს დაზუსტებით არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, პოლკოვნიკი ეგოროვი ხორვატიაში ზუსტად მას მერე ჩავიდა, რაც იქიდან პარიზისკენ ხანგოშვილის მკვლელი ვადიმ კრასიკოვი გაფრინდა. ეგოროვი მოსკოვში 2019 წლის 23 აგვისტოს დაბრუნდა, ხანგოშვილის მკვლელობის შემდეგ. Insider-ის და Bellingcat-ის ინფორმაციით, ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობა ორგანიზებული და შესრულებული სწორედ დანაყოფ „ვიმპელი“-ს მიერ იყო. ისევე, როგორც ოსმაევის შემთხვევაშიც, აქაც საუბარია იმ ადამიანის მკვლელობაზე, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა.

აღსანიშნავია, რომ ეგოროვს 2014 წლიდან 37 საერთაშორისო მოგზაურობა უფიქსირდება, უმრავლესად ევროკავშირის ქვეყნებში, მას შენგენის აქტიური ვიზა წლების განმავლობაში ჰქონდა. ბოლოს ის გერმანიის ქალაქ ჰამბურგში 2020 წლის 10-12 თებერვალს იყო. სწორედ ამ დროს მოხდა იმ ფარული აუდიო ჩანაწერის გაკეთება, რომელიც უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა საჯაროდ წარმოადგინა.

Der Spiegel-მა დაადგინა, რომ 2020 წლის მარტში ფრანგმა ძალოვნებმა შენგენის პოლიციას გაუგზავნეს მოთხოვნა – „თვალთვალი დაპატიმრების გარეშე“ ეგოროვთან დაკავშირებით, რაც ტრანსსასაზღვრო კრიმინალური გამოძიების ფარგლებში მოხდა. ერთ-ერთი ვერსიით, იგეგმებოდა მისი დაკავება მომდევნო მოგზაურობის დროს, რაც უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოებული გამოძიების ფარგლებში მოხდებოდა. თუმცა, კორონავირუსის ეპიდემიის გამო, ფრენები შეწყდა და რუსული სპეცსამსახურების თანამშრომლებმაც მოგზაურობები შეწყვიტეს.

Bellingcat-ის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, პოლკოვნიკ ეგოროვს ნაყიდი ჰქონდა ბილეთი 2020 წლის 4 მარტისთვის მოსკოვი-ფრანკფურტის რეისზე, თუმცა 28 თებერვალს ამ ფრენის გაუქმება მოუწია.

კოვიდ-19-ის ეპიდემიის თუ სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვის გამო, „ელბრუსი“ ამჯერად დაპატიმრებას გადაურჩა. თუმცა ის, რომ მისი საქმიანობა, ისევე, როგორც ფოტოსურათი, ხელწერა, კონტაქტები და ყველანაირი მონაცემები საქვეყნოდ გაიშიფრა, ფაქტია.

მანონი წერეთელი

„გამოვათრევთ ამ მოღალატე ხელისუფლებას და ნაგვის urnebši ჩავყრით!“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

აქტიურად ჩართული. ხელმძღვანელობდა ამ საომარ ოპერაციებს საქართველოს წინააღმდეგ. 1920-21 წლებში ის იყო აზერბაიჯანის სახალხო კომისარი. მისი ხელმძღვანელობით აზერბაიჯანელებმა ქართველები დახოცეს ამ ომში. ზაქათალას ტერიტორია გადაეცა აზერბაიჯანულ მხარეს და ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ ნარიმან ნარიმანოვი და ფილიპე მახარაძე.

– რატომ გახდა ეს საკითხი დღეს აქტუალური?

– ამ ნარიმანოვის ძეგლი არის მარნეულში. კომუნისტების დროს დადგეს და უკვე ისეთ დღეში იყო, რომ აღებას უპირებდნენ. ძალიან სავალალო მდგომარეობაში იყო. მარნეულის აზერბაიჯანელმა მერმა, დარგალმა, დიდი ზარზეიმით გაარემონტა ეს ძეგლი, რომლის აღებას ითხოვდნენ იქაური ქართველები და აქციებიც იმართებოდა.

როგორ შეიძლება, ქართველების მტრის ძეგლი იდგეს შუაგულ მარნეულში?! შემდეგ გავარკვიე ისიც, რომ სოკარის დაფინანსებით ნარიმან ნარიმანოვის მუზეუმი შექმნილა თბილისში, იქ, სადაც ნარიმანოვი ცხივრობდა. კონფერენცია ჩაატარეს, წიგნი გამოსცეს. ამაზე დიდი ცინიზმი გაგონილა?!

მე მახსენდება ჯაყოს ხიზნები. ყველამ ვიცით, თეიმურაზ ხევისთავს რაც გაუკეთა ჯაყომ – ცოლიც წაართვა, ქონებაც და ყველაფერი, რაც კი ებადა. დღეს ჩვენ თეიმურაზ ხევისთავის ამპლუაში ვართ. ჩათვალეთ, რომ აზერბაიჯანი არის ჯაყო, რომელიც, მივიღეთ, ბოდიში და როგორც კურტნის მუშები და მერე იმდენი გააკეთეს, რომ წაგვართვეს ტერიტორიები.

– ამ პროცესებს წინააღმდეგობა არ ხვდება ხელისუფლების მხრიდან?

– წინააღმდეგობა კი არა, ხელი შეუწყვეს! ძეგლის რესტავრაცია მოახდინეს და სახლ-მუზეუმი გაუხსნეს! ეს ზუსტად იგივეა, რომ ჯალალედინს და მურვან ყრუს დავუდგათ ძეგლი მეტეხის ხიდთან. მოდით მაშინ და ყველა ჩვენს ამაოხრებელს ძეგლი დავუდგათ.

ძალიან მაინტერესებს, ამ სახლ-მუზეუმში მისულ ბავშვებს რას ეტყვიან, ეს ის კაცი იყო, ჰერეთი რომ წაგვართვა და ქართველების წინააღმდეგ რომ ომობდაო?! ერმა არც იცის ამ კაცის წარსული და მას მოიხსენიებენ, რომ ის იყო მწერალი, საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი.

კი ბატონო, აზერბაიჯანელებისთვის ეგ კაცი გმირია, რადგან ჩვენ წაგვართვა ტერიტორიები და თავის ქვეყანას შემატა, მაგრამ ჩვენთვის გმირი არ არის. ეს კაცი საერთოდ შეჩვენებული უნდა იყოს და ძეგლს უდგამენ?!

– რა პოლიტიკას მისდევს ჩვენი ხელისუფლება?

– ეს არის დოყლაპაობის და ჯაყოობის პოლიტიკა. ცოლიც რომ წაართვან და სახლკარიც, მაინც მადლობას გადაიხდიან. მე მოვითხოვ, დაუყოვნებლივ აიღონ ეს ძეგლი მარნეულიდან. მოვუწოდებ „ქართულ ოცნებას“, რომ დარგალი დაუყოვნებლივ გადააყენონ. ის არჩეული მერია, მაგრამ მან ანტისახელმწიფოებრივი ქმედება ჩაიდინა. ამ კაცმა პასუხი უნდა აგოს ამ ქმედებისთვის.

– ანუ მარნეულის მერის წინააღმდეგ გამოდიხართ?

– მარნეულის მერის და ხელისუფლებისაც. მოვუწოდებ „ოცნებას“, დაუყოვნებლივ განახორციელონ როგორც ამ ძეგლის, ისე მუზეუმის დემონტაჟი. მკაცრად უნდა აგოს პასუხი კულტურის სამინისტრომ, თუ როგორ მოხდა ამ მუზეუმის გახსნა.

წლებია ვიბრძვი, რომ ვასილ მჟავანაძის სახელი დაერქვას თბილისის რომელიმე ქუჩას, კაცის, რომელმაც ქართველები გადასახლებას გადაარჩინა და ამას ვერ მივაღწიე. ნარიმანოვის ძეგლი ხომ დაგვიდგეს.

– რატომ ხდება ეს ყველაფერი? იქით დავითგარეჯის თემა...

– ეს იმიტომ ხდება, რომ დღეს საქართველოს ხელისუფლებაში არის აზერბაიჯანის აგენტურა. აბა სხვანაირად როგორ ავხსნა ეს ყველაფერი?! მერე გამოვა ხელისუფლება და აზერბაიჯანზე იტყვის, მეგობარიაო. ეს არის მეგობარი?!

ჩვენი მთავარი მიზანია, რომ აუცილებლად ძეგლების დემონტაჟი მოხდეს მარნეულსა და თბილისში, ეს სახლ-მუზეუმი აუცილებლად დაიხუროს და ყველამ, ვინც ამ გადაწყვეტილებაში მიიღო მონაწილეობა, პასუხი აგოს.

– წინააღმდეგ შემთხვევაში?

– წინააღმდეგ შემთხვევაში არ გავჩერდებით, დავიწყებთ პერმანენტულ აქციებს. გამოვათრევთ კაბინეტებიდან ამ მოღალატეებს და ნაგვის ურნებში ჩავაგდებთ.

გპირდებით, რომ ამას გავაკეთებთ.

ანდრია ჯაღმაიძე: „25 მილიონიდან არც ერთი კაპიკი არ არის დახარჯული ვინმეს ქონებაზე“

– ამ ფულიდან არც ერთი კაპიკი არ არის დახარჯული ვინმეს პირად ქონებაზე.

ამის შესახებ საპატრიარქოს პრესსპიკერმა ანდრია ჯაღმაიძემ „ტვ პირველის“ ეთერში განაცხადა.

ჯაღმაიძის თქმით, თანხა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიას ერიცხება, განათლების სისტემაზე იხარჯება.

– ეს 25 მილიონი როდესაც ერთ ადამიანს ესმის, გასაგებია, რომ ძალიან დიდი თანხა არის, მაგრამ რაც იანგარიშა მეუფე ანტონმა, თითო ადამიანზე თვეში იცით, რამდენი მოდის? 12 ცენტი.

თუ იქნება უფრო მეტი, ჩვენ გვექნება უფრო წარმატებული სკოლები. არც ერთი მანქანა ამ ფულით არ არის ნაყიდი, არც ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი არ არის ამ ფულით განხორციელებული, არც ერთი კაპიკი არ არის დახარჯული ვინმეს პირად ქონებაზე, გარდა სახელფასო ფონდისა, – განაცხადა დეკანოზმა.

ქუთაისში შვილმა მამა მოკლა

დააკავეს 30 წლის დ.კ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების და ქუთაისის საქალაქო სამმართველოების თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული დ.კ. ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 24 მაისს, ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან, ურთიერთშელაპარაკებისას, მამას – 1968 წელს დაბადებულ ა.კ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

დაჭრილი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკაში გადაიყვანა, თუმცა, მიყენებული ჭრილობების შედეგად, იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დ.კ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, ქუთაისში დააკავეს. გამოძიება ოჯახის წევრის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

მარნეულში დააკავეს ა.ბ, რომელმაც თანასოფლელს 1.600 ლარი წაართვა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ა.ბ. ძარცვის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 4-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხულდარაში, თანასოფლელს – 1943 წელს დაბადებულ კ.ხ.-ს მისსავე საცხოვრებელ სახლში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, 1.600 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ა.ბ. მომხდარიდან რამდენიმე საათში, მარნეულის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

პოლიციამ ნაძარცვი თანხა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ძარცვის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს.

პროკურატურამ „ევროპული საქართველოს“ წევრებს ძალადობის ფაქტზე ბრალი წარუდგინა

პროკურატურამ „ევროპული საქართველოს“ წევრებს ბართლომე შელიასა და დავით ღურწკაიას ძალადობის ფაქტზე ბრალი წარუდგინა.

როგორც უწყების ინფორმაციაშია აღნიშნული, პროკურატურა კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოს ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შუამდგომლობით მიმართავს.

„საქართველოს პროკურატურამ ბ.შ.-ს და დ.ღ.-ს ძალადობის ფაქტზე ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით წარუდგინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 7 აპრილს, დაახლოებით 14:30 საათზე, ზუგდიდის მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტის დროს, დ.ღ.-მ რ.ზ.-ს თავის არეში დაზიანება მიაყენა.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ იმავე დღეს, დაახლოებით 14:45 საათზე, დ.ღ.-ს და რ.ზ.-ს შორის არსებული დაპირისპირების მიზეზის გარკვევისას, ბ.შ.-მ რ.ზ.-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც რ.ზ.-მ ასევე თავის არეში დაზიანება მიიღო. სისხლის სამართლის საქმეზე გრძელდება გამოძიება, ტარდება ყველა საჭირო საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები.

პროკურატურა კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოს მიმართავს ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების შუამდგომლობით“ – ნათქვამია უწყების ინფორმაციაში.

მერაბ კობიაშვილის საქმეზე ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცედურა დაიწყო

გუშინ, 25 მაისიდან, მერაბ კობიაშვილის საქმის ნაფიცი მსაჯულების შერჩევა დაიწყო. ბრალდებულის ადვოკატის, ტარიელ კაკაბაძის ინფორმაციით, მსაჯულების შერჩევის პროცედურა, დაახლოებით, 2 თვე გაგრძელდება.

ტარიელ კაკაბაძე აცხადებს, რომ მერაბ კობიაშვილი აუცილებელი მოგერიების პირობებში იმყოფებოდა და დარწმუნებულია, რომ საქმეს მოიგებს.

– დაიწყო მსაჯულების არჩევის პროცედურა და ეს გაგრძელდება, სავარაუდოდ, 2 თვის განმავლობაში, ამის შემდეგ მხარეები წარვდგებით გორის რაიონული სასამართლოს წინაშე და დავიწყებთ მტკიცებულებათა გამოკვლევას. პირადად ჩემთვის, როგორც ადვოკატისთვის, ეს არის, ალბათ, ყველაზე მარტივად მოსაგები საქმე, ერთი უბრალო მიზეზის გამო, რომ მერაბ კობიაშვილი არის უდანაშაულო და ყველა უტყუარი მტკიცებულება ამას ადასტურებს, – განაცხადა უფლებადამცველმა.

დაზარალებული მხარე კი აცხადებს, რომ მერაბ კობიაშვილის დანაშაულს სწორედ ვიდეოკამერის ჩანაწერები ადასტურებს.

– არაერთხელ განვაცხადეთ, რომ უკვე დამტკიცდა კიდეც და კადრებიც დაიდო, რომ ეს არ ყოფილა თავდაცვა და არც მოგერიება. შესაბამისად, როგორც ვიცი, ამაზე აღარც მიდის ლაპარაკი, რომ იქ თავდაცვა და აუცილებელი მოგერიება იყო, რადგან ბრალდებული არ იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, მას მოცემულ მომენტში თავს არავინ ესხმოდა. ის არ იმყოფებოდა იმწუთიერი თავდასხმის მომენტში და არ იყო აუცილებლობა, რომ შიშველი ხელებით მიმავალი ადამიანისთვის ამოეღო და იარაღი ესროლა, – განაცხადა თამაზ გორთამაშვილის რძალმა.

შეგახსენებთ, რომ მერაბ კობიაშვილს გუდაურში, თებერვალში მომხდარ განზრახ მკვლელობასა და მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებენ. ამავე დროს, კობიაშვილის მიმართ ჯგუფურად განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ბრალი 6-ს პირს აქვს წარდგენილი.

„ნეკა დოროყაშვილმა ნიკა ბასილაშვილის სახლიდან ბავშვი ძალით წაიყვანა“

ირმა ჭკადუას განმარტება

– ნიკოლოზ ბასილაშვილის სახლში თავად მივიდა ყოფილი მეუღლე ნეკა დოროყაშვილი და ბავშვი პრაქტიკულად ძალით წამოიყვანა.

ამის შესახებ „იმედის დღის“ ეთერში, ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატმა ისაუბრა.

ირმა ჭკადუამ განმარტა, რომ სპორტსმენს სასამართლომ ბავშვთან ურთიერთობისთვის კვირაში ორი დღე მიაკუთვნა. ადვოკატის თქმით, ერთ-ერთი ბოლო შეხვედრა ბასილაშვილის ყოფილმა მეუღლემ ჩაშალა.

– სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში არ გვაქვს გამართული სოციალური სამსახური. ვინაიდან, ნიკოლოზ ბასილაშვილს ბოლო პერიოდში ჰქონდა მოლოდინები, რომ შესაძლოა მის მიმართ გარკვეული პროვოკაციები განხორციელებულიყო, ორი დღით ადრე სთხოვა სოციალურ მუშაკს, რომ დასწრებოდა ბავშვთან მის ურთიერთობას. ნიკოლოზ ბასილაშვილს კვირაში ორი დღე აქვს გამოყოფილი, ხუთშაბათი და შაბათი, ამ დღეებში მას სასამართლომ ბავშვთან ურთიერთობის საშუალება მისცა.

იმ დღეს, როდესაც ბასილაშვილს ბავშვი თავის სახლში ჰყავდა წამოყვანილი, ნიკოლოზ ბასილაშვილი კი არ მივიდა თავის ყოფილ მეუღლესთან, თავისი დრო როცა უნდა გამოეყენებინა და ბავშვთან ერთად ეთამაშა კორტებზე. დაახლოებით 40 წუთში მოაკითხა საკუთარ სახლში, ნიკოლოზის სახლში თვითონ ეს ქალბატონი მიბრძანდა და პრაქტიკულად იქიდან ძალით წაიყვანა ბავშვი. ჩვენ გამოკითხული გვყავს ის სოციალური სამსახურის თანამშრომელი, რომელსაც დაურეკა ნიკოლოზმა და სთხოვა, რომ დასწრებოდა ბავშვთან მის ურთიერთობას. სოციალური სამსახურის თანამშრომელმა უთხრა, რომ ის ვერ დაესწრებოდა მეორე მხარის თანხმობის გარეშე, მეორე მხარე კი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, – განაცხადა ირმა ჭკადუამ.

საქართველოს პროკურატურამ ყოფილი მეუღლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე ბასილაშვილს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ ძალადობას გულისხმობს.

თაღლითობისთვის ბრალდებულს 6 წლით პატიმრობა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე ბრალდებული ო.გ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2019 წლის თებერვლიდან აპრილის ჩათვლით, ო.გ-მ თანამზრახველთან ერთად, დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლებისა და მისაკუთრების მიზნით, საზღვარგარეთ სამუშაოდ გამგზავრების მსურველი თერთმეტი პირი დაარწმუნეს, რომ შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთვის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის სამუშაო ვიზების მიღებაში დახმარებოდნენ, ხოლო ადგილზე ჩასვლისას სამსახურით უზრუნველყოფდნენ.

ნდობის მოპოვების მიზნით კი ო.გ.-მ და მისმა თანამზრახველმა დაზარალებულებს განუცხადეს, რომ ო.გ., რომელიც მათ „გიორგის“ სახელით გაეცნო, მუშაობდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში და როგორც სახელმწიფო სპეცსამსახურის თანამშრომელი პირადად იძლეოდა გარანტიას, რომ საზღვარგარეთ გამგზავრების საკითხების მოგვარებას უზრუნველყოფდა. დაზარალებულების ნდობის მოპოვების შემდგომ, 2019 წლის თებერვლიდან აპრილის ჩათვლით, აღნიშნული პირები მოტყუებით დაეუფლნენ დაზარალებულების კუთვნილ დიდი ოდენობით –12.800.66 ლარს.

სამართალდამცველებმა ო.გ. 2020 წლის 29 იანვარს, ქ.თბილისში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით (თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი დიდი ოდენობით ნივთის მოტყუებით დაუფლება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ ო.გ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისთვის 1 პირი დააკავეს



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების, ქონების მესაკუთრის მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანებისა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის თავის არიდების ფაქტზე ერთი პირი დააკავეს. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, დანაშაული სასჯელის სახით 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა, მისი მართვის ქვეშ მყოფი ორი კომპანიის სახელით, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადების გზით, განხორციელებული 390.000 ლარის ღირებულების ქვიშა-ღორღის ფიქტიური მიწოდებებით, შემსყიდველ კომპანიებს დოკუმენტურად შეუქმნა უკანონო სასაქონლო ნაშთი და დღგ-ს ყალბი აქტივი, რითაც სახელმწიფოს მიაყენა ზიანი 22.881 ლარის ოდენობით.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ბრალდებული, მისი მართვის ქვეშ მყოფი, სხვა ორი კომპანიის სახელით სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადისათვის თავის არიდების მიზნით, სწორად არ ასახავდა შემოსავლებსა და ხარჯებს, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა ზიანი 275 380 ლარის ოდენობით. ასევე ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულში შემჩნეული სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სს კოდექსის 210-ე მუხლის მეორე, 185-ე მუხლის მესამე და 218-ე მუხლის მეორე ნაწილებით. რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

იმერეთის პოლიციამ ტყიბულში მომხდარი ქურდობის 6 ფაქტი გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ტყიბულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით დააკავეს ორი პირი: 1986 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისთვის მრავალჯერ ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი რ.ჩ. და 1994 წელს დაბადებული, წარსულში ქურდობისა და თაღლითობისთვის ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ხ.ჯ. დანაშაული 3-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ქალაქ ტყიბულში, მიმდინარე წლის აპრილ-მაისში, სხვადასხვა ქუჩაზე, მოქალაქეთა კუთვნილი 5 საცხოვრებელი სახლი და ერთი სამჭედლოს საამქრო გაქურდეს. პოლიციამ ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღო. ორივე ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულებს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეთანხმებით, ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევი პირების მიერ ბინაში უკანონო შეღწევით ჩადენილ ქურდობას გულისხმობს, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

გუდაურში კაფე „ვიტამინი“ დაიწვა

გუშინ, 25 მაისს, გუდაურში კაფე „ვიტამინი“ დაიწვა. როგორც „რუსთავი 2“-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განუცხადეს, 112-ში შეტყობინება არ შესულა. უწყების ცნობით, ადგილობრივმა მეხანძრე-მაშველებმა კვამლი შენიშნეს, ადგილზე მისულებს კი კაფე დამწვარი დახვდათ. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

რუსეთში უკვე რეპრესირებულთა საფლავების მოვლისთვისაც სჯიან

რუსეთში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებასთან ერთად, ი.ბ. სტალინისადმი სიმპათიები იზრდება. საუბარი სტალინის დროინდელ რეპრესიებზე, დღევანდელ რუსეთში ევრისათვის მიუღებელია, რეპრესირებულთა საფლავების მოვლა-პატრონობა კი დასჯადი. ამისი ნათელი დადასტურებაა პერმის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებლის ლადანოვის შემთხვევა.

როგორც ცნობილია, პერმის მახლობლად მდებარეობდა მკაცრი რეჟიმის ერთ-ერთი საკონცენტრაციო ბანაკი. სტალინის მმართველობის ხანაში პერმის საკონცენტრაციო ბანაკში მრავალი ადამიანი იტანჯებოდა, უფრო მეტი კი პერმის მახლობლად მდებარე სოფლებში ე.წ. სპეც-გადასახლებაში იმყოფებოდა. მათ შორის ბევრი იყო ლიტველი. ისინი აქ საბჭოთა ოკუპაციის პირველ წლებში გადმოასახლეს. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ლიტველთა ახალი პარტია ჩამოასახლეს. ბევრი მათგანი სტალინის სიკვდილს ვერ მოესწრო და იქვე, გადასახლებაში გარდაიცვალა. ისინი სოფლის სასაფლაოზე დაკრძალეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ სასაფლაოს ლიტვური უწოდა. დღეს, მრავალი წლის შემდეგ, ვნებათაღელვა სწორედ ამ საფლავების გარშემო გაიმართა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ პერმის ოლქში ლიტვიდან დელეგაცია ჩავიდა. ესენი უმეტესწილად რეპრესირებულთა ნათესავები და ახლობლები იყვნენ. მათი მასპინძელი იყო ადგილობრივი მაცხოვრები ლადანოვი. მან ლიტველები თავის სახლში დააბინავა, საფლავები აჩვენა. სტუმრებმა იქ ყვავილები დააწყვეს. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მეორე დღეს ლადანოვს შინ პოლიცია დაადგა.

– აბა, სად არიან ფაშისტები? აბა!

– ესენი ლიტველი სტუმრები არიან! მათ რეპრესირებული ნათესავების საფლავები მოინახულეს, – მიუგო ლადანოვმა.

– რეპესირებულებისა კი არა, ფაშისტების! ახლოვდება დრო, როცა აქ მათნაირს კიდევ ბევრს ჩამოასახლებენ!

ლიტველები აიძულეს, იქაურობა დაეტოვებინათ. თავად ლადანოვის მიმართ კი სიხლის სამართლის საქმე აღიძრა. მას უცხოელ მოქალაქეთა ყალბი რეგისტრაცია დააბრალეს. საქმე ისაა, რომ სტუმრები მის სახლში იყვნენ რეგისტრირებულნი, სინამდვლეში კი ლადანოვის დედასთან ცხოვრობდნენ. დედის სახლი უფრო დიდი იყო. ის ლადანოვის სახლიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით მდებარეობდა.

– მილიციამ ეს ხელზე დაიხვია! ლადანოვსაც დიდი ჯარიმა გამოუწერეს, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

ლიტველი პოლიტოლოგი იურკონისი აცხადებს, რომ ლადანოვის შემთხვევა ერთადერთი არაა. ბალტიისპირელთა დელეგაციას, რომელიც ციმბირში რეპრესიული ნათესავების საფლავების მოსანახულებლად ჩადის, ადგილობრივი ხელისუფლება უაღრესად აგრესიულად ხვდება. ჩამოსულებს ეუბნებიან, რომ ლიტველები, ლატვიელები და ესტონელები ომის დროს ნაცისტებთან თანამშრომლობდნენ. სტალინიც მართალი იყო, როცა მათ დევნიდა. ადგილობრივი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც რეპრესირებული ნათესავების საფლავების მოსანახულებლად ჩამოსულ ბალტიისპირელებს მასპინძლობს, დევნიან, ლადანოვის მსგავსად აჯარიმებენ ან უწყობენ პროვოკაციას, რის შემდეგაც ხულიგნობის გამო აკავებენ.

რუსეთში ავტორიტარიზმი და შოვინიზმია გამეფებული.

ტრამპის მრჩეველი ჩინეთისა და რუსეთის წინააღმდეგ

პრეზიდენტ ტრამპის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში ო,ბრაიენმა განაცხადა, რომ შეიძლება პარალელის გავლება კორონავირუსის გავრცელებასა და ჩერნობილის კატასტროფას შორის.

– კომუნისტური სსრკ ცდილობდა თავისი დაუდევრობა დაემალა და ჩერნობილის კატასტროფას კარგა ხანს არ ამხელდა! იგივე შეიძლება ვთქვათ კომუნისტურ ჩინეთზე, რომელიც ასევე შეეცადა თავისი დაუდევრობა დაემალა! შედეგად კორონავირუსი მთელს მსოფლიოში გავრცელდა, – ამბობს ო, ბრაიენი.

ტრამპის მრჩეველი რუსეთის აგრესიულ პოლიტიკაზეც დაწვრილებთ შეჩერდა. მან აღნიშნა, რომ როგორც უკრაინის, ასევე ბელორუსის გარშემო მდგომარეობა იძაბება.

– თუ რუსეთმა უკრაინის ან ბელორუსის წინააღმდეგ ძალა გამოიყენა, ამას შეერთებული შტატების მკაცრი რეაგირება მოყვება, – თქვა ო,ბრაიენმა.

პუტინი გერმანიის ხელისუფლების დაშანტაჟებას ცდილობს?!

როგორც ცნობილია, რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე კოზაკი გერმანიაში ჩავიდა. ის კანცლერ მერკელს შეხვდა. აღსანიშნავია, რომ კოზაკი იმ პირთა შორისაა, ვისაც ევროკავშირის ტერიტორიაზე ჩასვლა ეკრძალება. მიუხედავად ამისა, მისთვის გამონაკლისი გაკეთდა. რუსი პოლიტოლოგი პიონტკოვსკი, რომელიც ახლა აშშ-ში ცხოვრობს, ამტკიცებს, რომ კოზაკმა პუტინის სპეციალური დავალება შეასრულა. მან მერკელს გერმანიის მთავრობის წევრებზე კომპრომატი გადასცა. რუსების მოთხოვნა კატეგორიულია: ან გერმანია პუტინის ინიციატივებს მხარს დაუჭერს, ან ხსენებული ინფორმაცია გასაჯაროვდება.

– თუ ეს ინფორმაცია გასაჯაროვდა, ისეთი სკანდალი ატყდება, რომ გერმანიის მთავრობას ამოაყირავებს, – ამტკიცებს პიონტკოვსკი.

ექსპერტის აზრით, პუტინი დასავლეთს სთავაზობს ახალ გარიგებას, რომლის შედეგადაც უკრაინა და საქართველო რუსეთის გავლენის სფეროში უნდა მოექცნენ, თუმცა კრემლი კომპრომისისათვისაც მზადაა.

– პუტინი როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს გაყოფაზეც თანხმაა, ანუ უკრაინის და საქართველოს ნაწილი დასავლეთის გავლენის ქვეშ მოექცევა, ნაწილი-რუსთის, – თვლის პიონტკოვსკი.

სბუ-ს ყოფილი გენერალი ზელენსკის აქტიურობისაკენ მოუწოდებს

დონბასში ვითარება კვლავ დაძაბულია. თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, გრუ-ს სპეცნაზმმა კრასნოგორკასთან ფრონტის გარღვევა სცადა. მათსა და უკრაინელ ჯარისკაცებს შორის შეტაკება მოხდა. შედეგად მოკლულია 3 რუსი ოკუპანტი. დაიჭრა 1 უკრაინელი მეომარი. რუსები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ.

რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა დონბასის კონფლიქტის დარეგულირების დარგში კოზაკმა განაცხადა, რომ ზელენსკიმ პუტინის სამშვიდობო გეგმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს. კოზაკი პირდაპირ მუქარასაც არ მოერიდა.

– წინააღმდეგ შემთხვევაში უკრაინა კიდევ რამდენიმე რეგიონს დაკარგავს, – თქვა მან.

გააქტიურდნენ უკრაინის შიგნით მოქმედი პრო-რუსული მოღვაწენიც. იანუკოვიჩთან დაახლოებულმა იურისტმა პორტნოვმა ჟურალისტებს განუცხადა, რომ ზელენსკის ორად ორი გამოსავალი დარჩა: ან რადიკალებს უნდა ლაგამი ამოსდოს და რუსთთან ნორმალური ურთიერთობა აღადგინოს, ან ომი და ახალი ტერიტორიების დაკარგვა.

–სხვა ალტერნატივა უკვე აღარ დარჩა, – თქვა პორტნოვმა.

ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე გულახდილად საუბრობს უკრაინის უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი გენერალი ვოვკი. მან ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ქაოსია და ასე გაგრძელება შეუძლებელია.

-ზელენსკიმ რუსულ მეხუთე კოლონას და სეპარატისტებს წესრიგისაკენ უნდა მოუწოდოს! წინააღმდეგ შემთხვევაში ანარქია დაისადგურებს და უკრაინაც დაიშლება, – მიიჩნევს ვოვკი.

გენერალმა განსაკუთრებით ხარკოვის, ზაპოროჟიეს, აგრეთვე იმიერკარპატისპირეთის ოლქები გამოჰყო:

-სეპარატისტების გააქტიურება ყველაზე მეტად აქაა მოსალოდნელი! – ამბობს ვოვკი.

ვოლოდინი ამერიკელებს ბრალს სდებს

რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერმა ვოლოდინმა განაცხადა, რომ აშშ-მ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი დეზინფორმაციული კომპანია გააჩაღა. დუმის სპიკერის აზრით, ამერიკელები თურმე რუსეთის სახელმწიფო ინსტიტუტების და პირადად პრეზიდენტის დისკრედიტაციას ცდილობენ:

– მათი სამიზნე პრეზიდენტი პუტინია! მისი დისკრედიტაცია რუსეთის დესტაბილიზაციას და ჩვენი ქვეყნის დაშლას ნიშნავს, – ამბობს ვოლოდინი.

დუმის სპიკერს მხარი დაუჭირა ვაშინგტონში რუსეთის საელჩომაც. მან სპეციალური განცხადება გაავრცელა, სადაც გამოცემა ბლუმბერგს სიცრუეში დასდო ბრალი. ბლუმბერგი ამტკიცებდა, რომ პუტინის რეიტინგი დაეცა.

– ეს ტყუილია! მოვითხოვთ, რომა ბლუმბერგმა ამის გამო საჯაროდ ბოდიში მოიხადოს! – ნათქვამია რუსეთის საელჩოს განცხადებაში.

საპროტესტო აქცია კიევში

უკრაინის დედაქალაქში საპროტესტო აქცია გაიმართა. მისი ორგანიზატორი იყო მოძრაობა „კაპიტულაციის წინააღმდეგ“. გამოსვლაში მონაწილეობა მიიღეს ყოფილმა დეპუტატებმა ტატიანა ჩერნოვილმა, ლევუსმა და ა.შ. სულ აქციაში 5.000-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

მიტინგი დამოუკიდებლობის მაიდანზე ჩატარდა. გამოსულმა ორატორებმა განაცხადეს, რომ უკანასკნელ ხანს უკრაინაში რუსული აგენტურა გააქტიურდა. შედეგად ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა საფრთხეშია.

– არა იმპერიულ რევანშს! მოვითხოვთ, რომ პრეზიდენტმა ზელენსკიმ რუსულ მეხუთე კოლონას ლაგამი ამოსდოს! – განაცხადა ტატიანა ჩერნოვილმა.

ტუვის რესპუბლიკის მეთაურს კორონავირუსი შეეყარა

რუსეთში პანდემია მძვინვარებს. კორონავირუსი არც თანამდებობის პირებს, არც უბრალო ხალხს არ ინდობს. ამჯერად ის ტუვის რესპუბლიკის მეთაურს შოლბან კარა-ოოლს შეეყარა.

თანახმად ინფორმაციისა, ტუველთა ლიდერი ჰოსპიტალიზებულია.

აშშ რუსული დეზინფორმაციული მანქანის წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, ამერიკელებმა ჯანმრთელობის დაცვის დარგში რუსების მიერ გავრცელებული არა ერთი სიცრუე ამხილეს. კრემლმა ამას დეზინფორმაციის ახალი კასკადით უპასუხა. აშშ-ის სახელწიფო დეპარტამენტმა სპეციალური გრანტი დააწესა მათთვის, ვინც რუსული დეზინფორმაციული მანქანის წინააღმდეგ საუკეთესო პროგრამას შესთავაზებს. ამან მოსკოვი აღაშფოთა.

– ვაშინგტონში გავლენიანმა რუსოფობულმა ძალებმა იმძლავრეს! – ნათქვამია აშშ-ში რუსეთის საელჩოს განცხადებაში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა კონტრ-განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ პანდემიასთან დაკავშირებით რუსეთი უამრავ დეზინფორმაციას ავრცელებს. ესაა კარგად აწყობილი მექანიზმი და ამასთან შეგუება გამორიცხულია.

– რუსულ დეზინფორმაციას ვამხელდით, ვამხელთ და მომავალშიაც ასე იქნება! აცხადებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი.

ავღანეთი: თალიბანმა ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა

მოძრაობა თალიბანმა ცეცხლის სამდღიანი შეწყვეტის თაობაზე განაცხადა. მიზეზი ბაირამობის დღესასწაულია.

– ამ დღეს მკვლელობა და ძალადაობა ცოდვაა, – ნათქვამია თალიბანის განცხადებაში.

აშშ-ის სახელმწიფო მდავანი მაიკ პომპეო ამას მიესალმა.

– ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე დიდხანს მიზანმიმართულად ვმუშაობდით! იმედი მაქვს, რომ ეს მშვიდობის საფუძველი გახდება, – ამბობს პომპეო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

ესპანეთი და იტალია ფეხბურთს იწყებენ

ესპანური პრიმერა დივიზიონის პრეზიდენტმა ხავიერ ტებასმა ჩემპიონატის განახლების თარიღზე ისაუბრა და გაირკვა, რომ ლა ლიგა ივნისში დაიწყება.

ხავიერ ტებასი:

– ქვეყანაში ყოველ ორშაბათს კარანტინის შემსუბუქების ახალი ფაზა დგება და სწორედ ამიტომ იყო ნახსენები 8 ივნისი. ამ კონკრეტულ კვირაში დღეებს უნდა გადავხედოთ, რათა გადავწყვიტოთ, რომელ დღეს დავიწყოთ. ეს ასევე დაკავშირებულია გუნდების საწვრთნელი პროცესის ეტაპებთან. სავარაუდოდ, ესპანეთის ჩემპიონატის განახლება ხუთშაბათს, 11 ივნისს მოხდება. თუ არადა, 12 ან 13 ივნისს. ამასთან დაკავშირებით ფედერაციასა და სპორტულ საბჭოსთან ვიმსჯელებთ. ვფიქრობ, ჩემპიონატი დერბით განახლდება – სევილია-ბეტისით. ვაპირებთ, რომ მატჩის ტრანსლირება მხოლოდ ესპანეთში განვახორციელოთ – ნიშნად იმისა, რაც ქვეყანამ გამოიარა. ყველაფერს მომავალი კვირის დასაწყისში გამოვაცხადებთ.

შეგახსენებთ, რომ იძულებითი პაუზის გამოცხადებამდე ლა ლიგის გუნდებს სეზონის 38 მატჩიდან 27 ჰქონდათ ჩატარებული. სატურნირო ცხრილის სათავეში 58 ქულით ბარსელონაა, რომელსაც 2 ქულით მადრიდის რეალი ჩამორჩება. მესამეზე სევილიაა (47).

ასევე რეალურია სერია ა-ს განახლება – იტალიის სპორტის მინისტრმა ვინჩენცო სპადაფორამ პოტენციური თარიღები დაასახელა.

ისიც სათქმელია, რომ სპადაფორა აქამდე ჩემპიონატის განახლებას მხარს ნაკლებად უჭერდა. თუმცა, უკვე დაადასტურა, რომ ლიგას და სამინისტროს ჩემპიონატის განახლების 2 შესაძლო თარიღი აქვს – 13 ან 20 ივნისი. პრემიერ-მინისტრ კონტეს განკარგულებით, პროფესიული სპორტი იტალიაში 14 ივნისამდეა აკრძალული, მაგრამ სერია ა-სთვის შესაძლოა რამდენიმედღიანი გამონაკლისი დაუშვან.

ერთი უმთავრესი პრობლემა, რაც იტალიაში დგას, ტელევიზიაა. აპენინებზე სერია ა-ს მატჩები ისეთ არხებზე გადაიცემა, რომელიც ფასიანია, ამიტომ ყველას არ აქვს. აქედან გამომდინარე, გულშემატკივრები ბარებში იკრიბებოდნენ თამაშების საყურებლად. ცხადია, მსგავსი შეკრებები ხელისუფლებას არ აწყობს და ახლა საუბარი მიდის ნაციონალურ ტელევიზიასთან, რომ ფეხბურთის ყურება ყველამ მოახერხოს.

ამასთან, არ იქნება ადრეული, ეგრეთ წოდებული შუადღის თამაშები, რათა ხანგრძლივი უვარჯიშობით ისედაც დასუსტებული ორგანიზმი ზაფხულის სიცხემ არ შეაწუხოს.

რაც შეეხება იმ მოთამაშეების კონტრაქტებს, რომელთაც ვადა 30 ივნისს გასდით, მოთამაშეთა ასოციაციის პრეზიდენტის, დამიანო ტომაზის თქმით, უნდა შედგეს ჯენტლმენური შეთანხმება და ფეხბურთელები გუნდებში კიდევ 1 თვე უნდა დარჩნენ, რადგან იურიდიულად კონტრაქტების განახლება ან ახალი კონტრაქტის გაფორმება შეუძლებელია.

ინგლისის პრემიერლიგის განახლება კი საფრთხეშია. კორონავირუსზე ტესტირების ახალი, მეორე ეტაპი დასრულდა და კოვიდ-19 კიდევ 2 ადამიანს დაუდასტურდა. ორივე პიროვნება სხვადასხვა კლუბიდანაა და მათი ვინაობა არ სახელდება.

აღსანიშნავია, რომ მასობრივი ტესტირების პირველი ეტაპის შემდეგ პრემიერლიგაში კორონავირუსით ინფიცირების 6 შემთხვევა იქნა გამოვლენილი.

პრემიერლიგის კლუბებმა რამდენიმეკვირიანი პაუზის შემდეგ 5-კაციანი ჯგუფებით ვარჯიში გასულ სამშაბათს განაახლეს. ინგლისის ჩემპიონატი 13 მარტის შემდეგ გაჩერებულია. სეზონის დასრულებამდე 92 მატჩია ჩასატარებელი. ინგლისში იმედი აქვთ, რომ რესტარტი ივნისში შედგება.

შეგახსენებთ, რომ ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებიდან სეზონი პირველმა გერმანიამ განაახლა. ბუნდესლიგაში რესტარტის შემდეგ უკვე 2 ტური ჩატარდა.

მაია დარსმელიძე: „მათხოვრული სამასი ლარები არ მინდა!“

აცხადებს მომღერალი მაია დარსმელიძე და სამსახურს ითხოვს:

– მათხოვრული სამასი ლარები არ მინდა – სამსახური მინდა, სადაც მთელ ჩემს ცოდნას, პოტენციალს და გამოცდილებას გამოვიყენებ საუკეთესო შედეგისთვის. მოხოდეთ რაიმე მუსიკალური პროექტი და დამასაქმეთ. თუ მართლა ხარისხიანი გინდათ და ჩემსავით გჯერათ, რომ ახლობლური კომპრომისები საქმესაც აფუჭებს და ხარისხსაც, დამასაქმეთ და მიხვდებით, რა არ მომწონს და რა სხვაობას გთავაზობთ.

ამ მუსიკალურ პროექტებში ვიღაცის ვიღაცა იმდენია მუდმივად, რომ ჩემი რიგი არც მოვა. ცუდია, როდესაც ზუსტად იცი, რა აკლია აქაურ მუსიკალურ აზროვნებას, ზუსტად იცი, რისგან რისი გაკეთება შეგიძლია, მაგრამ მუშაობის საშუალებას არ გაძლევენ.

26 მაისს შალვა გაწერელიას სპექტაკლს აჩვენებენ

მოზარდ მაყურებელთა თეატრი 26 მაისს რეჟისორ შალვა გაწერელიას სპექტაკლით „აღდგომა გაუქმებულ სასაფლაოზე“ აღნიშნავს. სპექტაკლი თეატრის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე ონლაინში იქნება წარმოდგენილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს თეატრის ხელმძღვანელობა ინტერნეტით მაყურებელს შესთავაზებს მუსიკალურ-ლიტერატურულ კომპოზიციას, რომელიც მიეძღვნება საქართველოს დამოუკიდებლობისა და აკაკი წერეთლის დაბადებიდან 180-ე წლის იუბილეს. მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობები დისტანციურად კითხულობენ აკაკის ლექსებს, რაც შეეხება სიმღერებს, ისინი თეატრის სტუდიაში ჩაიწერა. პატარა მაყურებლებისთვის კი დისტანციურად ზღაპარს მსახიობი ვახტანგ ჩაჩანიძე წაიკითხავს.

დავით მუჯირი: „სეზონის განახლება ივლისის დასაწყისში გვინდა“

შეჩერებული საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში განახლებას ელოდება. დადგენილია სავარაუდო თარიღიც – ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა ისაუბრა.

დავით მუჯირი:

– ამჯერად პრიორიტეტულია ეროვნული ლიგის და ლიგა 2-ის დაწყება, რათა ევროტურნირებამდე რაც შეიძლება მეტი მატჩი ჩაატარონ. პოზიტიური გათვლით ივნისის ბოლოს, ივლისის დასაწყისში გვსურს, რომ გუნდებმა ვარჯიში დაიწყონ, ხოლო ივლისის დასაწყისში სეზონი განვაახლოთ. ახლა თითქმის ყველა კლუბი ვარჯიშობს, მაგრამ შეზღუდვებით. თუ ამის აუცილებლობა დადგება, ტესტირებას საკუთარ თავზე ავიღებთ.

საქართველოს ჩემპიონატი განახლების შემთხვევაში უმაყურებლოდ გაიმართება, მაგრამ გულშემატკივრებს მატჩების ხილვის საშუალება ექნებათ.

მუჯირის თქმით, ფედერაციის ტელევიზიის ამოქმედება ისევ გეგმაშია:

– შესაძლოა, ტურები 3-4 დღეზე გავწელოთ, რომ თამაშები ხშირად და ყოველდღე ვაჩვენოთ. ფეხბურთის ფედერაციის ტელევიზიის ამოქმედება ცოტა შეფერხდა, მაგრამ ისევ გეგმაში გვაქვს. ვფიქრობდით, რომ ივნისიდან ჩემპიონატის განახლებისთანავე აგვამოქმედებინა. ჩვენს პარტნიორენთან შეთანხმება ძალაშია, მაგრამ სფფ-ს ინტერნეტ სივრცეში რომ ვაჩვენებთ, ის მატჩები ამ არხზე გადაინაცვლებს. ასევე შევეცდებით იმ კლუბების თამაშები ვაჩვენოთ, სადაც ჩვენი ლეგიონერები თამაშობენ. თუ ზაფხულიდან ვერ მოვახერხებთ, გპირდებით, 2021 წლიდან იქნება.

ამასობაში გუნდებმა ვარჯიში დაიწყეს. თბილისის ლოკომოტივის შემდეგ ეს დედაქალაქურმა დინამომ გააკეთა და დიღმის ბაზაზე წვრთნა განაახლეს. ამ ორ გუნდს მალევე შეუერთდა „საბურთალოც“, რომელიც ამჯერად მშობლიურ „ბენდელას“ დაუბრუნდა. შეგახსენებთ, სამივე ეს გუნდი (პლუს ბათუმის დინამო) ევროტურნირებზე იასპარეზებენ.

გუნდები სრული შემადგენლობებით კი არიან, მაგრამ ჯგუფებად ვარჯიშობენ, რადგან პანდემიის შემდგომ ჩამოყალიბებული რეალობის გამო, სამედიცინო რეკომენდაციებს სხვაგვარად არ პასუხობს. ვარჯიშებში მაქსიმალურად გათვალისწინებულია ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაციები. ვარჯიში დისტანცირებულ რეჟიმში და ორკაციან ჯგუფებად მიმდინარეობს.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

24 მაისი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲔᲗᲛᲐᲜᲘᲐ. ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡᲘᲒᲘᲒᲐ

შალკე-აუგსბურგი 0:3
მაინცი-ლაიფციგი 0:5
კიოლნი-ფორტუნა 2:2

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.ბაიერნი	27	19	4	4	80-28	61
2.დორტმუნდი	27	17	6	4	74-33	57
3.ლაიფციგი	27	15	9	3	68-27	54
4.ლევერკუზენი	27	16	5	6	52-32	53
5.გლადბახი	27	16	4	7	53-34	52
6.ვოლფსბურგი	27	10	9	8	36-33	39
7.ფრაიბურგი	27	10	7	10	35-37	37
8.შალკე	27	9	10	8	33-43	37
9.ჰოფენჰაიმი	27	10	6	11	36-47	36
10.კიოლნი	27	10	4	13	43-49	34
11.ჰერტა	27	9	7	11	39-48	34
12.აუგსბურგი	27	8	6	13	40-54	30
13.უნიონი	27	9	3	15	32-47	30
14.აინტრახტი	26	8	4	14	41-49	28
15.მაინცი	27	8	3	16	36-60	27
16.ფორტუნა	27	5	9	13	29-52	24
17.ვერდერი	26	5	6	15	29-59	21
18.პადერბორნი	27	4	6	17	31-55	18

უმცროსი ზვიად გამსახურდია უნიჭიერესი მევიოლინეა

საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილიშვილი, კოკო გამსახურდიას შვილი, უმცროსი ზვიად გამსახურდია უნიჭიერესი მევიოლინეა. იგი ფართო საზოგადოებას მაესტრო ვახტანგ მაჭავარიანმა წარუდგინა:

– მოდის 26 მაისი! უკვე ჩვენს ახალ ისტორიაში ეს თარიღი პირდაპირ დაკავშირებულია ზვიად გამსახურდიასთან! ანუ ჩვენი თანამედროვე დამოუკიდებლობა პირდაპირ კავშირშია ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ კოსტავასთან და მათ გუნდთან. მათი შრომის გარეშე, დღეს საქართველო არ იქნებოდა დამოუკიდებელი.

ვიცნობდი ორივეს, ზვიადსაც და მერაბსაც, და ვამაყობ ამით. ორივე უდიდესი ინტელექტუალი და ჰუმანისტი. ორივე, ფიზიკურად განადგურებული. ზვიად გამსახურდია – უდიდესი ქართველი მწერლის, მოაზროვნის, ჰუმანისტი და უნიკალური დედის შვილი. თვითონ ზვიადი უდიდესი ინდივიდუალური თვისებებით აღსავსე, საქართველოსთვის თავდადებული და განწირული, ღრმად მოაზროვნე უნიკალური პიროვნება, რომელმაც სრულიად სწორე აქცენტები და წერტილები დასვა ისტორიაში!

მისი ვაჟიშვილი კოკო (კონსტანტინე) განათლებული ინტელექტუალი, ჰუმანისტი, პატრიოტი, ქართველი! ზვიადის სასახელო შვილის შვილები, რომელთაც ასევე სულიერ და მაღალ ინტელექტუალურ დონეზე იპოვნეს თავიანთი გზა.

მოკლედ, ეს არის საქართველოსთვის თავდადებული, სულიერად ღრმა, ინტელექტუალურად ფართო განზომილების, ჰუმანისტი ოჯახი, რომელსაც ამ „გრძნეულმა“ ხელისუფლებებმა არ აღირსეს სიმართლის ზეიმი. მჯერა, რომ სიმართლე ადრე თუ გვიან იპოვის თავის გზა-კვალს და ზოგიერთები, ან მათი შთამომავლობა საჯაროდ შერცხვებიან.

აუცილებლად მოუსმინეთ კონსტანტინე გამსახურდიას დიდი შვილის შვილის, ზვიად გამსახურდიას შვილის შვილის, კოკო გამსახურდიას შვილის მიერ შესრულებულ ურთულეს სიბელიუსის სავიოლინო კონცერტს ჩემი თანხლებით.

ვერავინ და ვერაფერი ვერ დაჩაგრავს ჭეშმარიტ სულს და გონს!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲰᲘᲓᲘ Ბ



შვეულად: 1. ქართველი პოეტის ნიკო რაზიკაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 2. ფულის საერთაშორისო ერთეული; 3. ცრუ დაპირებებით მასებზე გავლენის მოხდენის მცდელობა; 4. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 5. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 8. ვულკანი იტალიაში; 9. მეცნიერება რეაქტიული და საარტილერიო ჭურვების მოძრაობის შესახებ; 12. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 14. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 16. ჯეიმს ჯოისის რომანი.

თარაზულად: 1. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 6. დედამიწის ფორმებისა და ზომების შემსწავლელი მეცნიერება; 7. გურიასა და აჭარაში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ჯიში; 9. ერბოში ჩახარშული ყველისგან მომზადებული აჭარული კერძი; 10. ცარიელი, თაფლგამოცლილი ფიჭა; 11. ჩაის მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 15. პოპულარული პლაჟი ლოს ანჯელესში; 17. უმცროს მეთაურთა სამხედრო ჩინი არმიაში; 18. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 19. ფულადი ჯილდო; 20. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი მარტვილის რაიონში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. „კონტრევილი“; 2. ჭედილა; 3. „კოპელია“; 4. გონიო; 5. ციცერონი; 6. გორდა; 7. „ქინძაძა“; 9. შოპენი; 13. უელსი; 17. კობე; 18. გზა.

თარაზულად: 1. კაჭკაჭი; 3. კრეიგი; 8. ტიროლი; 10. ღირსება; 11. ტროპი; 12. ბოჭორმა; 14. ავანსი; 15. აკაპელა; 16. ნოკია; 19. ბასტრი; 20. ჭინჭილა; 21. მანეჟი.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ნაბადი; 2. ლომუ; 3. ჰერალდიკა; 4. „ასაჰი“; 5. ბოზბაში; 8. ძღვენი; 9. დისკოთეკა; 12. იამოტო; 14. ბილონი; 16. ალაბა.

თარაზულად: 1. ნაბეღლავი; 6. „ნეგრესკო“; 7. ბარძიმი; 9. დინასი; 10. „აიდა“; 11. ჰერმესი; 13. დუბაი; 15. შაკირა; 17. ღანძილი; 18. „ტოშიბა“; 19. „კიანტი“; 20. კასაცია.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

26 მაისი

აშშ დოლარი — 3.1916

ევრო — 3.4795

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8845

100 რუსული რუბლი — 4.4459

ამინდის პროგნოზი 26 მაისისთვის



ირაკლი ნოზაძე სამგზის მამაა

ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ ერთ-ერთი წევრი ირაკლი ნოზაძე, იგივე პიკასო, მამა მესამედ გახდა. მისმა მეუღლემ ია დუდაშვილმა გოლიათი ბიჭი გააჩინა, რომელსაც დანიელი დაარქვეს. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს და ფოტოგრაფების კამერების წინაშეც პოზიორობს. ირაკლის წინა ქორწინებიდან ლუკა ჰყავს, იასთან კი ულამაზესი ნიაკო, რომელიც ძალიან პოპულარულია და ინტერნეტვარსკვლავადაც კი იქცა, ახლა კი ნიაკოს სანატრელი პატარა ძმიკოც ჰყავს.

„წიგნების თარო“ პირველ არხზე ბრუნდება

ყველაზე აზარტული ლიტერატურული თამაში „წიგნების თარო“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში 29 მაისიდან დაბრუნდება.

გადაცემის წამყვანი ალექსანდრე ლორთქიფანიძე ამჟამად „წიგნების თაროს“ სტუდენტურ სეზონს წარმოგვიდგენს.

„წიგნების თარო“ პარასკევსა და შაბათს მეოთხე სტუდენტური სეზონის მონაწილეებს გაგვაცნობს.

ჯანსუღ კახიძეს 85 წლის იუბილეზე ფილმი მიუძღვნეს

ცნობილ დირიჟორს, მომღერალსა და კომპოზიტორს ჯანსუღ კახიძეს 85 წლის იუბილეზე დოკუმენტური ფილმი მიუძღვნეს.

26 მაისს გამოჩენილ ქართველ მუსიკოსს 85 წელი შეუსრულდებოდა. სწორედ 26 მაისს წარმოდგენილი იქნება დოკუმენტური ფილმის პრემიერა „ჯანსუღ კახიძე“, რომლის მეშვეობითაც ფართო საზოგადოება კიდევ უფრო კარგად გაიცნობს მაესტროს, მის პიროვნებას და დამოკიდებულებას იმ საქმისადმი, რომელსაც მთელი თავისი არსით მიუძღვნა ცხოვრება.

ფილმის იდეიმ ავტორი და პროდიუსერი ვახტანგ კახიძეა, აღმასრულებელი პროდიუსერი კი ნანა ბულეიშვილი.

ბასა ფოცხიშვილმა აფხაზეთზე კლიპი გადაიღო

რეჟისორმა ბასა ფოცხიშვილმა მონატრებულ აფხაზეთზე კლიპი გადაიღო.

„მე ვარ აფხაზეთი! მენატრები! მესიზმრები! მიყვარხარ! სულ შენზე ვფიქრობ...“ – ეს არის მთავარი სლოგანი, რომელიც ვიდეორგოლშია გამოყენებული. მუსიკის ავტორი დათო ევგენიძეა.

კლიპის პრემიერა აფხაზეთის დღესთან დაკავშირებით ინტერნეტით გაიმართა და ათასობით ადამიანის მოწონება დაიმსახურა.

2014 წლის 23 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით სვიმონ კანანელის ხსენების დღე „აფხაზეთის დღედ“ დადგინდა და მას შემდეგ, ყოველწლიურად ათასობით ადამიანი მისთვის ყველაზე ძვირფას დღეებს იხსენებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 მაისისთვის

ვერძი – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **კურო** – საყიდლებზე წასვლას პლანეტები არ გირჩევენ. ნავაჭრით უკმაყოფილო დარჩებით. **ტყუპები** – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **კირჩხიბი** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **ლომი** – საოჯახო საქმეები დიდ დროსა და ენერგიას დაგახარჯვინებთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით. ერიდეთ წვრილმან საქმის გარჩევებს. **ქალწული** – ადამიანები გენდობიან. ეცადეთ, მათ იმედი არ გაუცრუოთ. უცნობებს თქვენს საქმეებში ნუ გარევთ. **სასწორი** – პასიურად ხართ. ინიციატივისა და პრინციპულობის გამოვლენა დღეს აუცილებელია. **ღრიანკალი** – ფინანსური სიძნელეები შეგხვდებათ. მეგობრები ყოველგვარ გასაჭირში უყოყმანოდ დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისათვის მზად იყავით. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **თხის რქა** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. დღეს დაისვენეთ ან საოჯახო საქმეებს მიხედეთ. **მერწყული** – წინააღმდეგობრივი დღეა. აგრესიისა და ემოციების გამოვლენისაგან თავი შეიკავეთ. **თევზები** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ექიმი ქალს ეუბნება:

– მანამდე არ გაგსინჯავთ, სანამ ნიღაბს არ გაიკეთებთ!

– თქვენ რა, კბილის ექიმი ხართ?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემმა მეზობელმა კორონავ ირუსზე ტესტი ჩაბარა...

– მერე?

– დღეს დილით დამკრძალავი ბიუროდან დაურეკეს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ნანახი გაქვს, როგორ აძვრენს ქალი ლიფს კოფთის სახელოდან?

– კი, და რა რო?

– რა და, წარმოიდგინე, რა უზამს შენს ტვინს!

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ გაქვს ჯანმრთელობის საქმე?

– კარგად, მგონი, ვირუსი არ მაქვს...

– და ფულის საქმე?

– კიდევ უფრო უკეთესად! ნამდვილად არ მაქვს.

●●●

სამსახურში დილით მისულს თანამშრომელი ეკითხება:

– თვალი რატომ გაქვს ჩალურჯებული?

– საყვარელი ქალის გამო ვიჩხუბე.

– ვაა! და ვისთან?

– ცოლთან...

●●●

ქალი ქმარზე ეჭვიანობის გამო მოსამსახურე გოგონას სამსახურიდან ათავისუფლებს. გოგონა წასვლის წინ ეუბნება:

– საწოლში კი თქვენზე უკეთესი ვარ!

– ეგ ჩემმა ქმარმა გითხრა?

– არა, თქვენმა მებაღემ!

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– მადლობა გუშინდელი საღამოსთვის. ძალიან მომეწონა.

– კი მაგრამ, გუშინ ხომ ერთად არ ვყოფილვართ.

– ჰოდა, მეც მაგას არ ვგულისხმობ?...

●●●

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– პაპა, რას კითხულობ?

– ისტორიულ რომანს, შვილო.

– რა რომანი, პაპა, ეგ ხომ პორნოგრაფიული ჟურნალია.

– შვილო, შენთვის, შეიძლება, პორნოგრაფიულია, ჩემთვის კი ისტორიულია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უსმან დემბელე შესაძლოა იტალიაში გადავიდეს

ბარსელონას ფრანგი ფორვარდი უსმან დემბელე შესაძლოა, იტალიაში, კერძოდ, კი ტურინის იუვენტუსში გადავიდეს.

შესაძლოა, იუვენტუსმა და ბარსელონამ პიანიჩი და დემბელე გაცვალონ და ამ შემთხვევაში კატალონიელებს ნაკლები თანხის გადახდა მოუწევთ.

დემბელე ბარსელონას 3 წლის წინ შეუერთდა და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ უსმანმა ეს იმედები ვერ გაამართლა, რაც დიდწილად ტრავმების ბრალია. იუვენტუსის გარდა, დემბელეს შეძენით ინტერიც არის დაინტერესებული.

ბაიერნი კოუტინიოს არ გამოისყიდის

მიუნხენის ბაიერნი ფილიპე კოუტინიოს გამოსყიდვას არ აპირებს და სავარაუდოდ, ბრაზილიელი ფეხბურთელი ზაფხულში ბარსელონაში დაბრუნდება.

თვითონ კოუტინიოს ინგლისში თამაში სურს, ამიტომ შესაძლოა, ის პრემიერლიგის რომელიმე გუნდს შეუერთდეს.

კოუტინიოს შეძენით ტოტენჰემია დაინტერესებული და თუ ის ბარსელონასთან სატრანსფერო ფასზე შეთანხმდა, მაშინ კოუტინიო ტოტენჰემის ფეხბურთელი გახდება.

იბრაჰიმოვიჩმა ვარჯიშზე ტრავმა მიიღო

მილანის შვედმა ფორვარდმა ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ერთ-ერთ ვარჯიშზე საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო და ის, სავარაუდოდ, რამდენიმე თვე ვერ შეძლებს მოედანზე გამოსვლას. თვითონ ზლატანს ჯერ-ჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

ზაფხულში იბრაჰიმოვიჩს მილანის დატოვება სურს, რადგან მას გუნდის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი აქვს.

ზლატანი საფეხბურთო კარიერის დასრულებას არ აპირებს.

იურგენ კლოპს ტიმო ვერნერის ლივერპულში ხილვა სურს

ლივერპულის მთავარ მწვრთნელს იურგენ კლოპს ტიმო ვერნერის თავის გუნდში სურს და ის მზად არის, რომ ლაიპციგის ფორვარდს პირადად შესთავაზოს ლივერპულში გადასვლა. ვერნერს სურს ლივერპულში გადასვლა, მაგრამ ლივერპული და ლაიპციგი სატრანსფერო ფასზე ვერ თანხმდებიან.

ლაიპციგი 90 მილიონს ითხოვს, მაგრამ ლივერპული ამ თანხის გადახდაზე თანახმა არ არის. მოლაპარაკებები გაგრძელდება და ზაფხულში ყველაფერი ცნობილი გახდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა



ძველ თბილისში ისტორიული შენობა ჩამოინგრა

ხელოვნებათმცოდნემ ვლასი ვაწაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ძველ თბილისში კიდევ ერთი ისტორიული შენობა ჩამოინგრა:

– დავით შალიკაშვილის ინფორმაციით, დათოსთან ერთად ვაკეთებთ ფოტო და ვიდეო სიუჟეტებს თემაზე: „გადაუღე ფოტო თბილისის ძეგლებს, რომელიც მალე აღარ იქნება“, სულთნიშნის ქუჩაზე (ყოფ. აკოფიანის) სამწუხაროდ, კიდევ ერთი ისტორიული ძეგლის სტატუსის მქონე შენობა ჩამოინგრა.

ერთი კინკილა ბიჭი იყო მოსული ძველი თბილისის გამგეობიდან, 1 საათის მერე პატრული მოვიდა, ლენტა გააბა და დაიშალნენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. ქალაქი ისრაელში; 2. ძველებური, დახურული ოთხთვალა ეტლი; 3. პატიმრის მკაცრად დასჯისთვის განკუთვნილი ცალკე საკანი; 4. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. გემის სრული ტვირთმზიდაობა; 6. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 7. ორცოლიანობა, ორქმრიანობა; 9. სისხლის ნებაყოფლობით გამღები პირი; 13. წვრილი, უკურკო ქიშმიში; 17. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 18. იაპონელი მწერალი, რომან „საკურას“ ავტორი.

თარაზულად: 1. კუნძულოვანი სახელმწიფო კარიბის ზღვაში; 3. ინდიელთა ტომის ბელადი; 8. ქართველთა სათვისტომოს მამული პარიზის მახლობლად; 10. წერილობითი, კოლექტიური თხოვნა, მიმართვა ხელისუფლებისადმი; 11. უბანი თბილისში; 12. მუქი ფერის ბრიტანული ლუდი; 14. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 15. გურამ ფანჯიკიძის რომანი; 16. ქიმიური ელემენტი, რბილი, მოვერცხლისფრო ლითონი; 19. შეწეული სტრიქონი ტექსტში; 20. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი კინორეჟისორი ქალი; 21. ქართველი კარდიოლოგი ქალი, აკადემიკოსი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა